პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1975
კვირა
12
ოქტომბერი
№ 240
(16366)
ფასი
2 კაპ.
1975

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 თებერვლიდან

12 ოქტომბერი—სოფლის მეურნეობის მუშაკთა საკავშირო დღე!

სოფლის მეურნეობის მუშაკებო! მტკიცედ იბრძოლეთ სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციისა და ეფექტიანობის ამაღლებისათვის, — განსაკუთრებულ წარმოების სპეციალიზაცია და კონცენტრაციის სამეურნეობათაშორისო კოოპერაციის ბაზაზე! ყაირათიანად გამოიყენეთ მიწა, ტექნიკა, შრომითი და მატერიალური რესურსები!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწოდებიდან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 58-ე წლისთავისათვის.

ეს ისინი, ვინც წარმატებით იბრძვიან სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვისათვის. ხურათზე (მარცხნიდან): წყალტუბოს რაიონის სოფელ ცხუნკურის კოლმეურნეობის მეჩაიე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ნ. ჩიბლაძე, წითელწყაროს რაიონის სოფელ გამარჯვების უდანოვის სახელობის კოლმეურნეობის მევენახე ვ. ფიროსმანაშვილი, წალენჯიხის რაიონის ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ი. შანავა, სიღნაღის რაიონის სოფელ ბოდბისხევის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის კომბაინერი ვ. მეჭურჭლიშვილი, სამტრედიის რაიონის კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბრის“ მექანიზატორი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ა. ვაშაკიძე, სამტრედიის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიე ე. ჟუთათელაძე, ზუგდიდის რაიონის ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორი, სოციალისტური შრომის გმირი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ვ. მეუნარგია, გარდაბნის რაიონის ნორიოს მეფრინველეობის ფაბრიკის დირექტორი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი მ. მღებავნი, წალენჯიხის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მექანიზატორი მ. ძარღვაშვა, ჩხოროწყუს რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ე. ცირამუა, ლაგოდეხის რაიონის სოფელ აფენის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმის გამგე ა. ჩალაძე, ხულოს რაიონის სოფელ ფაჩხის კოლმეურნეობის მეთამბაქოე ი. ზანდარაძე, გურჯაანის რაიონის ველისციხის კოლმეურნეობის მევენახე, სოციალისტური შრომის გმირი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი მ. მექვეფრიშვილი, მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ნ. ნიკოლაიშვილი.

ფოტო: ვლ. გინზბურგისა და ბ. ფეფლიანის

სოფლის მშრომელთა დღესასწაული

მოსკოვი

10 ოქტომბერს სოფლის მეურნეობის მუშაკთა საკავშირო დღეს მიეძღვნა საზეიმო კრება, რომელიც გაიმართა კავშირების სახლის სვეტების დარბაზში. აქ შეიკრიბნენ მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის წარმოების მოწინავენი, სპეციალისტები, მეურნეობათა ხელმძღვანელები, სამრეწველო საწარმოების, პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

კრების პრეზიდიუმში იყვნენ ამხანაგები თ. დ. კულაკოვი, ლ. ბ. პოლიანსკი, მ. ს. სოლომენცევი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ი. ვ. არხიპოვი, ვ. ნ. ნოვიკოვი, ზ. ნ. ნურიევი, სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე გ. თ. სიზოვი, სსრ კავშირისა და რუსეთის სფსრ მინისტრები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკები, ცენტრალურ უწყებათა ხელმძღვანელები. აქვე იყვნენ მკა-75-ის გმირები, წარმოების მოწინავენი. საკოლმეურნეო მოძრაობის ვეტერანები, მეცნიერები.

საზეიმო კრება გახსნა პარტიის მოსკოვის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. ი. კონოტოპმა.

მოხსენება გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრმა დ. ხ. პოლიანსკიმ.

კრების მონაწილეებმა ერთსულოვნად მიიღეს მისასალმებელი წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსადმი.

(საკ-ესი).

თბილისი

10 ოქტომბერს რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გაიმართა საზეიმო სხდომა, რომელიც მიეძღვნა სოფლის მეურნეობის მუშაკთა საკავშირო დღეს.

სხდომის პრეზიდიუმში იყვნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ჯ. პატიაშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ზ. გელდიაშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე ო. ვარძელაშვილი, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელები. სასოფლო წარმოების მოწინავენი. სამრეწველო საწარმოების, ტრანსპორტის, მშენებლობების კოლექტივთა წარმომადგენლები, სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელები, პასუხისმგებელი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული მუშაკები, მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნების მოღვაწენი.

საზეიმო სხდომა გახსნა სოფლის მეურნეობისა და დამზადების მუშა-მოსამსახურეთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ ვ. ქიკაძემ.

სხდომის მონაწილეებმა დიდი აღფრთოვანებით აღიჩინეს საპატიო პრეზიდიუმში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეღაღონრობით.

მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრმა ნ. ზითანიამ.

სოფლის მეურნეობის მუშაკებს, რომლებიც წარმატებით ეჯიბრებიან ერთმანეთს სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის, მიესალმნენ მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წარჩინებული მეჩაიე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ს. ნიკოლაიშვილი. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი პოეტი-აკადემიკოსი ი. აბაშიძე, დუშეთის რაიონის სოფელ ეუდამაყრის კოლმეურნეობის მწყემსი ვ. წიკლაური, თბილისის ავლაბრის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის ხარატი, სოციალისტური შრომის გმირი შ. ფირცხალავა, საქართველოს კომკავშირის პრემიის лауреატი პოეტი ჯ. ჩარკვიანი, ახალქალაქის რაიონის სოფელ ბურნაშითის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ვ. კოჩოიანი, ულიანოვსკის პოეტი ვ. კოროტეევი, ახმეტის მიკენახეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ს. შაშიაშვილი, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტი ჯგუფი.

სხდომის მონაწილეებს უჩვენეს სპექტაკლი. (საქინფორმი).

ზეიმი ლენინგრადში

ლენინგრადი. (საკ-ესის სპეც. კორ). ლენინგრადმა, სადაც 250 წლის წინათ დაარსდა ქვეყნის მეცნიერებათა აკადემია. ჩაიბარა საღლოცვანი იუბილეს აღსანიშნავი ზეიმის ესტაფეტა.

10 ოქტომბერს „ოქტიაბრსკის“ საკონცერტო დარბაზში გაიმართა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის საზეიმო სხდომა, რომელიც მიეძღვნა აკადემიის 250-ე წლისთავს. სხდომაში მონაწილეობდნენ მოსკოვიდან ჩამოსული საუბილეო ზეიმის მონაწილენი, ლენინგრადის პარტიული, საბჭოთა, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

დამკვრელურ ვაჩატაჟე

დღეს ენგურჰესის მშენებლობაზე

ხაკპ XXV და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობების შესახვედრად გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა ენგურის გადასაგდებ გვირაბზე მომუშავე კომსომოლური ბრიგადა, რომელსაც ახალგაზრდა ჰიდროშენებელი შუქრი აბაკელია თავკაცობს.

ბრიგადამ ოქტომბრის პირველ დღეებში გაანადგა ხუთწლიდან დავალება და მიუხედავად არახელსაყრელი ჰიდრომეტეოროლოგიური პირობებისა, სემტემბერში გაიყვანა 40 გრძივი მეტრი დიდი კვეთის გვირაბი.

ამ დღეებში გვირაბგამყვანები ახალი ინიციატივის თოსნები გახდნენ — მათ გადაწყვიტეს ოქტომბერში საგვირაბო სამუშაოები დაამთავრონ და თვის ბოლოს წყალგამტარი გვირაბი შეუერთონ ენგურის გადასაგდებ არხს, რომ დიდი ოქტომბრის რევოლუციის ზეიმის დღეს გვირაბი ენგურის მისალებად მზად იყოს.

სოციალისტურ შეჯიბრებაში მაღალ წარმატებებს აღწევენ გვირაბგამყვანები ი. ივანოვი, ი. ლატარია, შ. ტორუა, ჯ. ობაკელია, შ. ხეცურიანი, გ. დგებუაძე, ა. გეტმანენკო და სხვები.

შ. აბაკელიას 70-კაციანი ბრიგადა დამკვრელური შრომის მაგალითს აჩვენებს.

ლ. ბარკაია.

ახალი ვალდებულებით

თელავი. (საკ. კორ.). წინდა ფაბრიკა (დირექტორი ლ. სანიძე) რუსეთის ერთ-ერთი მოწინავე საფეიერო საწარმოა. ოქტომბრის მშრომელთა შორის წლის დასაწყისიდანვე ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება რესპუბლიკის მიერ ნაკისრი 200 მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქციის გამოშვებაში თავიანთი წვლილის შესატანად. ამ მიზნით აქ ივალდებულეს წლიური გეგმის გადამეტებით საშობლოს მისცენ 500 ათასი მანეთის პროდუქცია.

თელაველი ფეიერები პირობას სასახელოდ ასრულებენ. განვლილ ცხრა თვეში პროდუქციის გამოშვების გეგმა ოქტომბერამ 117,5 პროცენტით შეასრულა და საშობლოს მისცა 387 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 517 ათასი წყვილი წინდა, ამავე პერიოდში პროდუქციის რეალიზაციის გეგმა შესრულებულია 122 პროცენტით, მოზზმარეულში გეგმის გადამეტებით მიიღო 511 ათასი მანეთის ნაწარმი.

ცნობამ, იმის შესახებ, რომ 1976 წლის იანვარში გაიმართება საქართველოს კომპარტიის მორიგი XXV ყრილობა, ოქტომბრიკის კოლექტივში ახალი შრომითი აღმავლობა გამოიწვია, ფეიერთა ერთსულოვანი გადაწყვეტილებაა ნაკისრი 500 ათასი მანეთის პროდუქციის ნაცვლად წლეულს 600 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია გამოუშვან.

საგჭოთა-კავშირ-სირიის ერთობლივი ცნობა

საგჭოთა ხელმძღვანელების მოწვევით 1975 წლის 9-10 ოქტომბერს საბჭოთა კავშირში მეგობრული ვიზიტით იყო არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის გენერალური მდივანი, სირიის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტი ჰაფეზ ასადი.

ვიზიტის დროს გაიმართა საბჭოთა კავშირ-სირიის მოლაპარაკება, რომელშიც მონაწილეობდნენ: საბჭოთა კავშირის მხრივ — სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი, საბჭოთა კავშირის მარშალი ა. ა. გრეჩკო, სსრ კავშირის ელჩი სირიაში ნ. ა. მუხიტდინოვი; სირიის მხრივ — არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის გენერალური მდივანი, სირიის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტი ჰაფეზ ასადი, არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის გენერალური მდივნის მოადგილე აბდალა ჰამარი, არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის გენერალური მდივნის მოადგილე მუჰამედ ჯაბერ ბაჯბუჯი, არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის ხელმძღვანელობის წევრი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, საგარეო საქმეთა მინისტრი აბდელ ჰალიმ ჰადამი, არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის ხელმძღვანელობის წევრი, თავდაცვის მინისტრი მუსტაფა ტლასი, არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის ხელმძღვანელობის წევრი, მუშათა პროფკავშირების საყოველთაო ფედერაციის თავმჯდომარე მაჰმუდ ჰადიდი, სირიის ელჩი სსრ კავშირში ჟამილ შაია.

მოლაპარაკების დროს განიხილეს ახლო აღმოსავლეთში ამჟამად შექმნილი მდგომარეობა და მისი გავლენა მთლიანად საერთაშორისო ვითარებაზე. მხარეებმა ხაზი გაუსვეს, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ყველაფერი იღონონ არაბული სახელმწიფოების, არაბი ხალხის, მათ შორის პალესტინის არაბი ხალხის კანონიერ უფლებათა აღდგენისა და უზრუნველყოფისათვის.

საბჭოთა კავშირისა და სირიის ხელმძღვანელებმა განაცხადეს, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი კვლავაც განამტკიცონ ორივე სახელმწიფოს, მათი ხალხების მეგობრობა. ამასთან ხაზგასმით აღინიშნა, რომ არავის მისცემენ უფლებას შეარყიოს იგი, მას ზიანი მიაყენოს.

მოლაპარაკება მეგობრობის, გულითადობისა და სრული ურთიერთგაგების ატმოსფეროში მიმდინარეობდა.

• • •

10 ოქტომბერს კრემლში საბჭოთა ხელმძღვანელობის სახელით გაიმართა საუზმე არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის გენერალური მდივნის, სირიის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტის ჰ. ასადისა და მისი თანმხლები პირების პატივსაცემად. საუზმეზე ლ. ი. ბრეჟნევმა და ჰ. ასადმა წარმოთქვეს მეგობრული სადღეგრძელოები.

იმავე დღეს არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის გენერალური მდივანი, სირიის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტი ჰ. ასადი სამშობლოში გაემგზავრა.

აეროდრომზე იგი გააცილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საბჭოთა კავშირის მარშალმა ა. ა. გრეჩკომ.

მოგზაურობა საბჭოთა კავშირში

ნაბერეჟნიე ჩელნი, 11 ოქტომბერი. (საკ-ესი). გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიულ-სახელმწიფო დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ჰონეკერი, დღეს ყაზანიდან ნაბერეჟნიე ჩელნიში ჩამოვიდა.

„ბეგიშევოს“ აეროპორტში სტუმრებსა და მათ თანმხლებ პირთ დახვდნენ პარტიის ნაბერეჟნიე ჩელნის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი რ. კ. ბელიაევი, საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე რ. რ. გილიაზოვი, ქალაქის მშრომელთა წარმომადგენლები.

პარტიის საქალაქო კომიტეტში გაიმართა საუბარი, რომლის დროსაც ქალაქისა და კამის საავტომობილო ქარხნის ხელმძღვანელებმა ალაპარაკეს ქალაქის პარტიული ორგანიზაციის საქმიანობაზე, კამის საავტომობილო ქარხნის მშენებელთა და ექსპლოატაციის მუშათა მრავალთასიანი კოლექტივების ცხოვრებასა და შრომითს საქმეებზე, მათ გადაწყვეტილებაზე — ღირსეულად შეხვედნენ სკკპ XXV ყრილობას.

შემდეგ გერმანელი ამხანაგები იყვნენ კამის საავტომობილო ქარხნის სამშენებლო მოედნებსა და მოქმედ საწარმოებში, სადაც გაეცნენ ქვეყნის უდიდესი საავტომობილო კომბლექსის მშენებლობას, ესაუბრნენ მუშებსა და სპეციალისტებს.

კულტურის სასახლე „ენერგეტიკოსში“ გაიმართა კამის საავტომობილო ქარხნისა და ქალაქ ნაბერეჟნიე ჩელნის მშენებელთა შეხვედრა.

სკკპ საქალაქო კომიტეტმა და საქალაქო საბჭოს აღმასკომმა საუზმე გამართეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიულ-სახელმწიფო დელეგაციის პატივსაცემად.

ნაშუადღევს დელეგაცია ვოლგოგრადს გაემგზავრა.

მეტი ყურძენი ბაზრისთვის

სად რამდენი მოიკრიფა

(11 ოქტომბრისათვის)

რაიონები	ვალდებულება (ტონიანით)	მოკრეფილია (ტონიანით)
გურჯაანი	80.000	80.136
თელავი	45.000	42.581
ყვარელი	29.000	24.769
სიღნაღი	24.485	30.487
ახმეტა	28.000	26.307
საგარეჯო	20.000	16.865
წითელწყაროო	19.000	16.244
ლაგოდეხი	5.500	7.198
მარნეული	15.860	15.977
გარდაბანი	9.200	8.005
მცხეთა	10.000	8.368
კასპი	9.350	4.057
გოლნისი	8.725	8.634
ზესტაფონი	26.850	11.555
თერჯოლა	18.100	11.450
მაიაკოვსკი	14.300	5.841
ვანი	14.500	4.776
საჩხერე	5.450	3.581
ორჯონიკიძე	5.350	2.588
გორი	4.450	2.460
ხაშური	5.570	2.251
ჭიათურა	2.200	901
წალენჯიხა	1.285	253
სამტრედია	1.560	764
ჩხოროწყუ	1.010	872
ამბროლაური	3.000	1.331
თეთრი წყაროო	1.200	1.144
დუშეთი	1.900	995
წყალტუბო	4.200	883
ცაგერი	3.550	683
გეგეჭკორი	2.200	346
ზუგდიდი	1.670	372
სამხრეთ ოსეთი	1.020	325
ცხინვალი	910	229
ფულუკიძე	660	184
ქარელი	725	288
ჩოხატაური	2.020	1,036
მახარაძე	500	298
აფხაზეთის ასსრ	7.920	5.244
აჭარის ასსრ	1.500	600
სულ მოკრეფილია		349.406

იდეოლოგიური თათბირი

ტაშკენტი, 10 ოქტომბერი. (საკ-ესი). დღეს აქ დამთავრდა მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების პასუხისმგებელი მუშაკების, პარტიის საქალაქო კომიტეტების მდივნების ორდღიანი თათბირი, რომელიც მიეძღვნა „ტაშკენტის საქალაქო პარტიულ ორგანიზაციაში ხელმძღვანელი კადრების მარქსისტულ ლენინური სწავლებისა და ეკონომიკური განათლების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესრულებას.

თათბირზე გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების გამგის მოადგილე ვ. ა. მედვედევი.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის XVIII პლენუმის გადაწყვეტილებანი — ცხოვრებაში!

გასახარიც და გულსატკენიც

მოწინავე გამოცდილების დანერგვა ყოველდღიური საზრუნავია

ეისაც უნდა ესაუბრო მეცხოველეობის რეგიონალობაზე—პარტიის გაგრის საქალაქო კომიტეტში თუ საქალაქო საბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის სამმართველოში, ყველგან სანიმუშოდ გაგრის სანაშენე მეურნეობის. ალხაზის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობისა და ლენინის კოლმეურნეობა „დრუებას“ სარძეო-სასაქონლო თერმებს ასახელებენ.

კარგი ინიციატივა გამოიჩინა პარტიის გაგრის საქალაქო კომიტეტმა, რომელმაც ორიოდე წლის წინათ ამ სანიმუშო მეურნეობების ბაზაზე მეცხოველეთა მოწინავე გამოცდილების სკოლა შექმნა. აქ გაგრის ზონის ფერმების მუშაკები გულდასმით ეუნიმავდნენ მეცხოველეობაში შრომის ორგანიზაციის საუკეთესო მეთოდებს. ძირითადად ზონის მეცხოველეები ეყრდნობიდნენ გაგრის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სანაშენე მეურნეობის (დირექტორი ვ. ძნელაძე) გამოცდილებას. ნამდვილად ბევრი რამ აქვთ აქაურ მწველავებსა და საკვებმომპოვებლებს მისაბაძი. გასაზიარებელი და საჩვენებელი. მათი კარგი მუშაობა აღინიშნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVIII პლენუმზე. **მეურნეობამ რძის წარმოების ხუთწლიანი გეგმა ოთხნახევარ წელიწადში შეასრულა, ხორცისა — ოთხ წელიწადში. მიმდინარე ხუთწლეულის ბოლოსათვის თვითეული საფურაჟე ძროხის საშუალო წველადობა 4.500 კილოგრამამდე მიაღწევს ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 3.752 კილოგრამისა. უკვე მოწველილია 4.150 კილოგრამი რძე.** მაგალითად საქართველოში საზოგადოებრივ მწველავებმა თამარ ულიტინამ, ეკატერინე იურკოვამ, ზინა პოპკოვამ, მარია პეტროვამ, სოციალისტური შრომის გმირმა ეკატერინე ლეშოვამ, ნინო თურმანიძემ, ანა ივანოვამ პირნათლად გაანალიზეს თავიანთი ხუთწლიანი გეგმები და ვალდებულებები.

წარმატებით გაანალიზა ხუთწლიანი გეგმა და ვალდებულება ამ მეურნეობის მეორე ბრიგადამ, რომელსაც მიხეილ ჯალაღონია ხელმძღვანელობს, მოწინავე მწველავებისა და მწყემსების ვამოცდილების ზონის ცალკეულ-ჩამორჩენილ ფერმებში დანერგვამ კარგი შედეგები მოგვცა.

გაგრის ზონის მეურნეობებმა სახელმწიფოსათვის რძისა და ხორცის მიყიდვის ხუთწლიანი გეგმა მიმდინარე წლის მაი ნაფიანლ ადასრულეს, უფრო მეტიც, შარშანდელ წელი რეკორდული იყო აქაური მეცხოველეებისათვის. თუ 1973 წელს მათ წარმოებს 31,237 ცენტნერი რძე, შარშან ამ მაჩვენებელმა გეგმით გათვალისწინებული 30.280 ცენტნერის ნაცვლად 34.972 ცენტნერს მიაღწია. აქედან სახელმწიფოს მიეყიდა 27.580 ცენტნერი რძე, ვეგმა კი 20.650 ცენტნერს თვალისწინებდა.

მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების ფართოდ დანერგვის მიზნით პარტიის ქალაქო კომიტეტმა კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა წინ. შარშან გაგრის ზონაში არსებულ სახალხო უნივერსიტეტთან შეიქმნა მეცხოველეობის ფაკულტეტი. ფაკულტეტის მეცადინეობანი უშუალოდ ზონის მოწინავე მეურნეობებში ეწყობოდა. ორმოცდაათამდე მოზრდილი მსმენელი — ფერმის გამგეები, მოწინავე მწველავები, სპეციალისტები — აქ სწავლობდა და ეცნობოდა საკვების დამზადების. მაღალპროდუქტიული ძროხების მოვლა-შენახვის, ფერმებში შრომის ორგანიზაციისა და მექანიზაციის გამოყენების მოწინავე მეთოდებს.

ფაკულტეტზე მეცადინეობას ატარებდნენ ზონის მთავარი ზოოტექნიკოსი ვ. სარიანი, გაგრის სანაშენე მეურნეობის დირექტორი ვ. ძნელაძე, ამავე მეურნეობის მთავარი ზოოტექნიკოსი ა. ჩიჩიკი, მეურნეობის სელექციონერი ა. მუმაკიანი. მაღალპროდუქტიული პირუტყვის ვიბრასა და წველის ადგილზე შემუშავებულ მეთოდებს კი პრაქტიკულად უზიარებდნენ სანაშენე მეურნეობის, ალხაზისა და ლენინის სკოლმეურნეო ფერმების მოწინავე მწველავები, საკვებმომპოვებელი ბრიგადების შექანიზატორები. ფაკულტეტის მსმენელებში დიდი ინტერესი გამოიჩინა, მაგალითად აქ ჩატარებულმა საჩვენებელმა სემინარმა, რომელიც მიეძღვნა საკვების დასილოსების დროს მოსანელებელი პროტეინის ამაღლებისათვის კარბამიდის გამოყენების საკითხებს.

წელს მეცხოველეობის განვითარების მიზნით პარტიის გაგრის საქალაქო კომიტეტის ინიციატივით კიდევ ერთი სიახლე დაინერგა. სოფელ ლესელიძეში აშენდა გასასუქებელი კომპლექსი 1.000 მოზარდისათვის. ამ საქმეს შემოქმედებითად უდგებიან გაგრის ზონის მეცხოველეები. აქ გადაწყვეტილია ოთხი თვის ასაკამდე ხბოები მოზვერებთან ერთად გამოკვებონ და აქედან შემდეგ გამოარჩიონ უკეთესი დეკეულები საკოლმეურნეო ფერმების ჯოგის შესაკავებად, დანარჩენი დეკეულები და მოზვერები კი 18 თვის ასაკამდე სუქებაზე დაიკონონ.

გაგრის, ამ საკვებორო მნიშვნელობის საკურორტო ზონის მეურნეობებში წელს დიდი გადაჭარბებით რომ სრულდება რძისა და ხორცის წარმოების გეგმები, მეცხოველეობა რენტაბელური რომ ხდება, ამაში ინიშნელოვანი როლი შეასრულა მოწინავე გამოცდილების პროპაგანდამ, მეცხოველეობის განვითარებისათვის მეცნიერების და პრაქტიკის მიღწევების დანერგვამ.

ამჟერად აქ არავინ საჭიროებს დარწმუნებას იმაში, რომ, მაგალითად, სენაჟი საუკეთესო საკვებია, რომ ზამთრის პერიოდში ალბელემ, თუ ფერმაში მისი პრაქტიკულად გაძღოყენებისათვის მთელი კოლექტივი არ იბრძვის? მართალია, გაგრის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე მ. ზადიკანი) ფერმის მუშაკებმა ჯერ კიდევ აგვისტოში შეასრულეს წველადობის ხუთწლიანი გეგმა, მაგრამ ეს წარმატება მიღწეული იყო ფერმის მაღალპროდუქტიული ძროხების გარკვეული ჯგუფის ხარჯზე. მთლიანად კი მერძევე ჯოგის წველადობა აქ ჯერ კიდევ დაბალია. ამ კოლმეურნეობაში ჯერ გადაჭრეს ძროხების ჯიშობრივი შემადგენლობით მთლიანად გაუმჯობესების პრობლემა და მათი ბაგურ კვებაზე გადაყვანის საკითხი. ფერმაში, სადაც ოთხი ზოოტექნიკელისტი მუშაობს, არ წარმოიშვა სასელექციო მუშაობა და არ ინერგება პირუტყვისათვის საკვების დამზადების თანამედროვე პროგრესული მეთოდები. აქ ჯერ კიდევ დაბალია შრომის ორგანიზაცია და წარმოების კულტურა. წელს გაიღებით უფრო ადრე, ვიდრე ჩვეულებრივად, ეგონ ამიტომ, გამო მეცხოველეები ძალებულნი ვიყვნენ ბოლოს ბინიდან პირუტყვი ადრე ჩამოერეკა, ადგილზე კი მათ ფერმა მოუმზადებელი დახვდათ. მერძეული ძროხები, რომლებიც აქ 200 სულს აღემატება, ფერმის შენობაში მოთავსებულ და მწველ საკვების უკონლობის გამო შორიდან ჩამოტანილი. ისიც დაბალი ხარისხის ნამალთ კვებავენ. ამ მდგომარეობამ, რასაკვირველია, საგრძნობლად შეაჩერა წველადობა. უნდა აღინიშნოს, რომ ანალოგიური მდგომარეობა შეიქმნა სოფელ ხეიფნის კოლმეურნეობაშიც.

მიუხედავად იმისა, რომ ზონის მეურნეობები მოწველილ რძის ქარხანას ამარებენ, განთიადიდან და ხეიფნელი მეცხოველეები ძვალებურად ადგილზე ყველის დამზადებას განაგრძობენ.

ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ფერმის მუშაკებს ნაკლული აქვთ საერთო ვალდებულებები ხუთწლეულის დამამთავრებელი წლისათვის, მაგრამ მწველავებსა და მწყემსებს შორის გამლილი არ არის სოციალისტური შეჯიბრება, მათ არ იციან თავიანთი ინდივიდუალური გეგმები და ვალდებულებები. კოლმეურნეობის პარტიულ კომიტეტს (მდივანი ა. კამალიანი) მხედველობიდან გამორჩა ის გარემოება, რომ ფერმაში თითქმის ერთი წელია, რაც ხუთი კომუნისტი მუშაობს და დღემდე არ შეუქმნიათ პარტიული ორგანიზაცია. ამიტომაც ფერმის მუშაკებთან, სადაც პირუტყვს 26 კაცი ემსახურება, დაბალია პარტიული ზეგავლენა. კოლმეურნეობის პარტიული კომიტეტის მიერ ფერმაში ოგიტატორად გამოყოფილია ვეტფერმალი, კომუნისტი ე. დემერჩიანი, მაგრამ, სამწუხაროდ, როგორც ადგილზე მწველავებმა და მწყემსებმა მაც ერთმანეთ უსაყვედურეს, ამ მოვალეობის შესრულება მას დავიწყდა და არავითარ მუშაობას არ ეწევა. და რა საკვერველია, რომ მთიდან ახლახან დაბრუნებული ფერმის მუშაკები ინფორმირებული არ არიან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ამასწინანდელი XVIII პლენუმის მიერ განხილულ, რესპუბლიკის მეცხოველეობის შემდგომი განვითარების ესოდენ ფრიად მნიშვნელოვანი საკითხის შესახებ.

ეს ფაქტები ამ კოლმეურნეობის პარტიული კომიტეტის მუშაობის დაბალ დონეზე მიუთითებს. აქ, როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია.

ი. გოგეჩია,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ეს დღეები სოფლად

პირობა გაანაღდეს

დმანისის რაიონის მშრომელებმა ამ დღეებში გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტები მიყიდვის 9 თვის გეგმა. ნაცვლად 1.091 ტონისა სახელმწიფოს მიეყიდა 1.295 ტონა ხორცი, 6.080 ტონის ნაცვლად 6.868 ტონა რძე, 760 ცენტნერის ნაცვლად 1.186 ცენტნერი მატყლი. ეს „კომუნისტის“ რედაქციის ცნობა საქართველოს კპ დმანისის რაიკომის პირველმა მდივანმა **ლ. ჩხაიძემ.**

გეგეჭკორის რაიონს ხუთწლეულის დამამთავრებელი წლის 9 თვეში სახელმწიფოსათვის გეგმა-ვალდებულებით უნდა მიეყიდა 619 ტონა ხორცი, ფაქტიურად მიეყიდა 874 ტონა, რაც გეგმა-ვალდებულების 141 პროცენტს შეადგენს. სახელმწიფოსათვის რძის მიყიდვის დავალება განაღდებულია 114 პროცენტით, კვერცხისა — 225 პროცენტით.

გორის რაიონის მშრომელებმა პირობა შეასრულეს. სახელმწიფოს მიაყიდეს 1.947 ტონა ხორცი ნაცვლად 9 თვის გეგმა-ვალდებულებით გათვალისწინებული 1.606 ტონისა, რძე მიყიდულია 6.398 ტონა ნაცვლად 5.190 ტონისა. შესრულდა აგრეთვე კვერცხისა და მატყლის დამზადებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმა-ვალდებულება.

5.000 ტონა გეგმის გადამეტებით

ხირსელ მეღვინეთა გამარჯვება

ასეთი რთველი ხირსა-ტიბაანის ღვინის ქარხნის მუშაკებს არ უნახავთ. დღეში 1.500-1.700 ტონა ყურძნის მიღება-გადამუშავება დიდი შრომისა და გარჯის ფასად დაუჯდათ.

ქარხნის მუშები ნ. მირიანაშვილი, ა. სმეკოვა, ნ. ანდაზაშვილი, უ. ჩითანაშვილი; მეღვინე-სპეციალისტები: გ. ორჯონიკიძე, ვ. გოგოლაშვილი, ა. კვალიაშვილი, თ. ჩალთამბელი, ა. სპანდარაშვილი, შ. გოგოლაშვილი დღედაღამეს ასწორებდნენ რათა დათქმული პირობა, რომელიც პარტიის XXV ყრილობის შესახვედრად გაშლილი შეჯიბრებით ეკისრეს, პირნათლად შეესრულებინათ.

ქარხნის კოლექტივმა არათუ გეგმა, არამედ ვალდებულებაც დიდი გადამეტებით შეასრულა. გეგმით გათვალისწინებული 13.000-ის ნაცვლად მიიღო და გადამუშავა 18.000 ტონა ყურძენი. მათ შორის 8.000 ტონაზე მეტი ტიბაანის ღვინის ქარხანაზე მოდის, რომელიც წელს დიდი რაოდენობით მაღალი ხარისხის სამარკო ღვინოებს დამზადებს.

ხირსა-ტიბაანის ღვინის ქარხნის კოლექტივი კვლავაც ყველაფერს გააკეთებს ქართული ღვინის მაღალი ხარისხისათვის.

ზ. სტურუა,

პროპაგანდისტის დასახმარებლად

ზუგდიდი. (საკ. კორ.). ორგანიზებულად ჩაიარა პროპაგანდისტთა მეთოდურ-პრაქტიკულმა კონფერენციამ თემაზე: „ცნობერებასთან, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან პროპაგანდის კავშირის ფორმები და მეთოდები სკკპ XXV ყრილობისათვის მზადების შუქზე“. ესსწრებოდნენ პროპაგანდისტები, პირველ ადგილ პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების მდივნები.

მოხსენებები გააკეთეს პარტიის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტის პოლიტიკური განათლების კაბინეტის გამგემ ლ. დაგარგულიამ, საქართველოს ალკკ ზუგდიდის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანმა ნ. მალაშხიამ, თეორიული სემინარის ხელმძღვანელმა ს. ვეკუამ და ენგურჰესის პარტიული კომიტეტის პოლიტიკური განათლების კაბინეტის გამგემ გ. სალიამ. მეთოდურ კონფერენციაზე წარმოდგენილ მოხსენებებში იყო ასეთი თემებიც: „პარტიული პროპაგანდა თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე“, „პროპაგანდისტი და აუდიტორია“, „თვალსაჩინოებისა და პროპაგანდის ტექნიკური საშუალებათა გამოყენება“.

გ. ნოდია.

ოფიციალური განყოფილება

მსჯელობენ ღიდ პრობლემებზე

თბილისში დამთავრდა **ეკონომიური** ურთიერთდახმარების საბჭოს ელექტროენერგიის შუდმივი კომისიის პირველი სხვეობის 32-ე სხდომა, რომელშიც მონაწილეობდნენ ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების — ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის, მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის, სსრ კავშირის, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის წარმომადგენლები, აგრეთვე იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის დელეგაცია და ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების ენერგეტიკული სისტემის გაერთიანების ცენტრალური სალისპეტჩერო მართვის დარეკვის წარმომადგენლები.

— სხდომის ყველა მონაწილე ერთსულოვანი იყო დღის წესრიგში მდგარი საკითხების განხილვის დროს, — განაცხადა საქინფორმის კორესპონდენტისათვის ბიცემოდი ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების ენერგეტიკული სისტემის გენერალური სქემის შემუშავების. ერთიანი ელექტროენერგეტიკული სისტემის შექმნა ხელსაყრელია ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს ყველა წევრი ქვეყნისათვის. იგი ხელს შეუწყობს ამ ქვეყნების სახალხო მეურნეობის განვითარებას. გენერალური სქემა უკვე ხორცს ესხამს — დაიწყო 750 კილოვოლტი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის პირველი ეტაპის — ვინიცა-დასავლეთ უკრაინის (სსრ კავშირი) — ალბერტირშის (უნგრეთის სახალხო რესპუბლიკა) მშენებლობა, რომლის დამთავრება გათვალისწინებულია 1978 წელს.

სხდომაზე დაამტკიცეს ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს ელექტროენერგიის შუდმივი კომისიის პირველი სხვეობის მუშაობის 1976 წლის გეგმა. (საქინფორმი).

საქართველოს და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მედიკოსთა შეხვედრა

10 ოქტომბერს თბილისში გაიმართა მე-2 საინსტიტუტთაშორისო საერთაშორისო კოლოკვიუმი მედიცინასა და ჯანმრთელობის დაცვაში მრავალფაქტორიანი კვლევის გამოყენების ეკონომიური და პრაქტიკულ პრობლემებზე. კოლოკვიუმი მოიწვიეს საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ინსტიტუტის სამედიცინო კიბერნეტიკის განყოფილებამ და ბერლინის ჰუმბოლტის სახელობის უნივერსიტეტის მედიცინის განყოფილების სამედიცინო ფიზიკისა და ბიოფიზიკის ინსტიტუტში (შარიტე).

ამ შეხვედრის მონაწილეებს საქართველოს და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მედიკოსმა მეცნიერებმა განიხილეს სამი წლის ერთობლივი კვლევის შედეგები. კვლევა ეძღვნებოდა ამ მრავალფაქტორიანი პროცესების შეხვედრას, რომლებიც მომდინარეობს ადამიანის ორგანიზმისა და გარემოში.

ამ მუშაობის პირველი ეტაპი განიხილეს საერთაშორისო კოლოკვიუმზე, რომელიც ამ წიფხულს ბერლინში გაიმართა.

ორი ქვეყნის მედიკოსთა თბილისის შეხვედრა გახსნა რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ინსტიტუტის დირექტორმა, პროფესორმა გ. იოსელიანმა.

მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სამეცნიერო-საბჭოს თავმჯდომარემ, პროფესორმა ბ. ნანეიშვილმა, ბერლინის ჰუმბოლტის სახელობის უნივერსიტეტის სამედიცინო ფიზიკისა და ბიოფიზიკის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ, შემსრულებელმა, დოქტორმა ი. მიხელმა, ერფურტის სამედიცინო აკადემიის წარმომადგენელმა ვ. ბლიზერმა.

მოხსენებები წაიკითხეს საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კლინიკური და ექსპერიმენტული ქირურგიის ინსტიტუტის სამედიცინო კიბერნეტიკის განყოფილების გამგემ, პროფესორმა გ. ვასაძემ, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის ცენტრალური სამეცნიერო-საკვლევი ლაბორატორიის ხელმძღვანელმა, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა გ. დუმბაძემ, შედეგების მეცნიერებათა დოქტორმა კ. ნადარეიშვილმა და სხვებმა.

კოლოკვიუმზე წაკითხული ყველა მოხსენება ჭართველმა მეცნიერებმა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მედიკოსებთან ერთად მოამზადეს. კერძოდ, ამ საქმეში მონაწილეობდნენ ი. მიხელი, ჰ. კამანი, გ. დუმბაძე, ფ. ლანგე, ბ. გურატ, ე. ჰილერი.

კოლოკვიუმის მონაწილეებმა განიხილეს ჯანმრთელობის დაცვასა და მედიცინაში მრავალფაქტორიანი კვლევის გამოყენების ძირითადი გზები, გულისა და სასუნთქი ორგანოების მოქმედების ცვლილებისა და ფსიქიკოფიზიკური დატვირთვის დროს მათი ურთიერთდამოკიდებულების დარგში კვლევის შედეგები, მრავალფაქტორიანი კვლევის დროს მონაცემების ავტომატური დამუშავების ორგანიზაციის ზოგიერთი პრობლემა, სამედიცინო სისტემა ტექნიკის თანამედროვე პრობლემები და სხვ.

კოლოკვიუმზე განიხილეს მრავალფაქტორიანი კვლევის გამოყენების დარგში საქართველოს და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მედიკოსი მეცნიერების შედეგმი თანამშრომლობის გეგმა.

(საქინფორმი).

პრესა და სამართალი

„პრესის როლი სამართლებრივ-მორალური ნორმების განმტკიცებასა და დაცვაში“ — ასეთი იყო თემა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციისა, რომელიც მოაწყეს საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის სამართლისა და მორალის საკითხებზე მომუშავე ჟურნალისტა სექციამ, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და კულტ-მასობრივი მუშაობის განყოფილებამ და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამნაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლის სამეცნიერო საკონსულტაციო საბჭომ.

კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამნაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლის სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს თავმჯდომარემ, პროფესორმა ბ. ხარაზიშვილმა.

კონფერენციაზე მოისმინეს შემდეგი მოხსენებები: დოცენტ ო. გამყრელიძისა — „სამართლებრივი პროპაგანდა ბოლო წლების რესპუბლიკურ პრესაში“, პროფესორ ვ. ქვაჩახიისა — „ახალგაზრდობის ზნეობრივი აღზრდის საკითხები პრესის ფურცლებზე“.

დოცენტი ო. გაბიძაშვილი თავის გამოსვლაში შეეხო ახალგაზრდა თაობის მორალური აღზრდის საკითხებს. პრესაში ამ საკითხების გაშუქებას.

კონფერენციაზე გამოვიდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მდივანი ლ. ისაკაძე და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტი გ. ნაჭყებია.

(საქინფორმი).

პარტიული ქრონიკა

პარტიული კრებები— მაღალ დონეზე

ცხინვალი. (საკ. კორ.). პარტიის რაიონული კომიტეტის ბიუროს განიხილა საკითხი რაიონის პირველადა პარტორგანიზაციებში სანგარეთში-საარჩევნო კრებების მომზადებისა და ამ კრებებზე სხვადასხვა უწყებების, ორგანიზაციების მისამართით გამოთქმული კრიტიკული შენიშვნებისა და წინადადებების რეგისტრაციის შესახებ.

აღინიშნა, რომ კომუნისტები სანგარეთში-საარჩევნო კრებებზე სათანადო ანალიზს უკეთებენ განვლილ მუშაობას, ხუთწლეულის დამამთავრებელი წლის დაგალებათა შესრულებისათვის ბრძოლის მომდინარეობას, მათი წინადადებები და კრიტიკული შენიშვნები სიერთო საქმის აღმავლობისაკენ არის მიმართული. მაგრამ ბიუროზე ისიც თქვა, რომ ზოგან კრება სათანადოდ არ იყო მომზადებული. ნაქალქეგის სასოფლო-ტერიტორიული პარტორგანიზაციის ბიუროს მდივანი ლ. ჩიტაია ზერელე მოხსენებით წარსდგა კომუნისტების წინაშე. სახბანკის ადგილობრივი განყოფილების კომუნისტებმა ძირითადად სამსახურებრივ ამბებზე ილაპარაკეს, არაფერი თქვეს პარტბიუროს მიერ გაწეულ მუშაობაზე. მსგავსი ფაქტები სხვაგანაც იყო.

რაიკომის ბიურომ პირველადა პარტორგანიზაციებს, მათს მდივნებს დაავალა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ კრებების მაღალ დონეზე ჩატარებას, ღრმა ანალიზი გაუკეთონ კომუნისტების სწორ, საქმისათვის სასარგებლო კრიტიკულ შენიშვნებსა და წინადადებებს, შეიმუშაონ მათი რეალიზაციის, პრაქტიკულ საქმეებად გადაქცევის გეგმა, რომლის განხორციელებაზე პერიოდულად მოახსენონ პარტიულ კრებებს.

ბ. მილიუტინი.

შესრულებას—მეტი კონტროლი

ჩხოროწყუ. პარტიის ჩხოროწყუს რაკომის ბიურომ მოისმინა ახუთის კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივნის ბ. გაბედავას ანგარიში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმის გადაწყვეტილებათა მიხედვით მიღებულ დადგენილებათა შესრულების შემოწმებისა და კონტროლის უბრუნველსაყოფად გაწეული საქმიანობის შესახებ.

როგორც აღინიშნა, დაკვალიფიცირებულ პარტიულ კრებებზე მიღებულ დადგენილებათა შესრულების თაობაზე კომუნისტთა ანგარიშების მოსმენა.

მაგალითად, წლეულს მოისმინეს № 3 ბრიგადის ხელმძღვანელის ბ. კაკულიას ინფორმაცია. მან აღნიშნა, რომ ბრიგადაში ხშირად ირღვეოდა შრომის დისციპლინა, კოლმეურნეები ვ. ახალაია და პ. ხუბუნაია სამუშაოს სისტემატურად აცდენდნენ, აგვიანებდნენ ნათესების დამუშავებას.

მაგრამ პარტიის რაიკომის ბიუროს სხდომაზე ისიც თქვა, რომ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი კონტროლის განხორციელების მხრივ სერიოზული ნაკლოვანებებიც არის, პარტიულ კრებაზე მიღებულ დადგენილებათა ერთი ნაწილი პრაქტიკულად განუხორციელებელია. ზოგიერთი კომუნისტი აქტივობას არ იჩენს პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის დონის ამაღლებისათვის.

ბიურომ მიიღო დადგენილება აღნიშნულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

ი. ნაჭყებია.

დირექტორის ანგარიში— რაიკომის ბიუროს

აბაშა. პარტიის აბაშის რაიკომის ბიურომ მოისმინა ქოლობნის ეთერზეთების საბჭოთა მეურნეობის დირექტორის გ. ურდიოს ინფორმაცია სკკპ XXV ყრილობის დირსეულად შეხვედრისათვის ნაყოსრ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

ბიუროზე აღინიშნა, რომ ქოლობნის ეთერზეთოვან კულტურათა საბჭოთა მეურნეობაში გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდების საქმეში. მნიშვნელოვნად გაიზარდა მატერიალური წარმოების სფეროში დასაქმებულ მუშაკთა ბრიგადიერ აქტივობა, ამაღლდა სოციალისტური შეჯიბრების ეფექტიანობა, ეკონომიური მაჩვენებლები.

დიდი გადაჭარბებით შესრულდა სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების, ხის ფოთლის, აბრეშუმის პარკის მიყიდვის წლიური გეგმები. საგრძნობლად შემცირდა წარმოებული პროდუქციის თვითღირებულება, დიდი ყურადღება ექცევა პირუტყვისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნას. ბრიგადებსა და ფერმებში ამაღლდა შრომის დისციპლინა, სამუშაოთა შესრულების ხარისხი, გაიზარდა კომუნისტთა ავანგარდული როლი.

ამასთანავე ბიუროზე ისიც აღინიშნა, რომ მეურნეობისა და მისი პარტორგანიზაციის საქმიანობაში სერიოზული ნაკლოვანებებიც არის. აქ საკმაოდ არ მუშაობენ სოციალისტური შეჯიბრების შემდგომი განვითარებისა და მისი ორგანიზაციის სრულყოფისათვის,

ბიურომ შეჯიბრების მიმდინარეობაზე მოისმინა აგრეთვე საქსოვი ფაბრიკის დირექტორის ო. გაბელაშვილის ინფორმაცია და მიუთითა ნაკლოვანებებზე.

ივ. თოფურია,

**ს ფ რ ა ს ტ ი ა ნ ი ს ტ ი ბ ი ბ ლ ი ო თ ე კ ა ს ა ბ ა ს ა ბ ა ს ა ბ

11 ოქტომბერი

ამბები • ფაქტები

საადგილო და უცხოეთის ჯრების სააგენტოები იტყობინებიან

თავისუფლება ჩილელ პატრიოტებს!

ლონდონი. „თავისუფლება ლუის კორვალანს!“ „შეწყვიტეთ რეპრესიები ჩილეში!“ — ასეთი პლაკატები ჰქონდათ მეპიკეტელებს, რომლებიც ეწყვნენ საელჩოსთან შეიარიბნენ. მეპიკეტელთა შორის იყვნენ პოლიტიკური პარტიების, პროფკავშირული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებიც სპეციალურად ჩამოვიდნენ ინგლისის. დედაქალაქში ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან.

ბონი. დასავლეთ გერმანიის საზოგადოებრიობის 6.000-ზე მეტმა წარმომადგენელმა ხელი მოაწერა მიმართვას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის კ. ვალდჰაიმისადმი, რომელშიც მოუწოდებს კონკრეტული და ქმედითი ღონისძიებანი განახორციელონ ჩილეში ადამიანური უფლებებისა და დემოკრატიული თავისუფლების აღსადგენად.

დელი. „გადაჭრით ვგმობთ ჩილეს ფაშისტურ რეჟიმს, რომელიც უკანონობისა და ძალადობის აქტებს სჩადის და ახლა გასამართლებას უპირებს პრეზიდენტს ს. ალიენდეს თანამებრძოლებს, ჩილეს თავისუფლებისათვის მებრძოლებს, ქვეყნის თვალსაზრისი საზოგადო მოღვაწეებს“, — ნათქვამია ინდოეთის დელიქალაქში გამართული მიტინგის მონაწილეთა რეზოლუციაში. (საკდესი).

მარჯვნივ იხრებიან

ლონდონი, (საკდესი). ბლეკპულში ოთხი დღის მუშაობის შემდეგ დამთავრდა ინგლისის ოპოზიციური კონსერვატიული პარტიის ყოველწლიური 92-ე კონფერენცია.

კონფერენციაზე დასკვნის მიმდინარეობა და მის მიერ მიღებული რეზოლუციები მოწმობენ, რომ კონსერვატიული პარტია სიმონაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად საკითხში კვლავ დგას მემარჯვენე პოზიციებზე. როგორც პარტიის თავმჯდომარის მოადგილემ ენგუს მოდმა განაცხადა, კონსერვატორებმა ქვეყნის პრობლემა უნდა გადაწყვიტონ „ცენტრიდან მემარჯვენე“ პოზიციით.

კონფერენციამ ცხადყო, რომ კონსერვატორთა მემარჯვენე ფრთას უპირატესი მდგომარეობა უკავია შინაპარტიულ ბრძოლაში. მიუხედავად ამისა, ნათელია, რომ ამ დაჯგუფების კურსს ყველა კონსერვატორი არ უჭერს მხარს. პარტიის ახალგაზრდა წევრთა ჯგუფმა გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც კონფერენციის რეჟიმს უწოდებს. პარტიაში არსებულ უთანხმოებას მოწმობს კენსინგტონის შეიგებიც, რეზოლუციის გამო, რომელიც იწონებს პარტიის ხელმძღვანელობის საპარლამენტო საქმიანობას; კენსინგტონში მონაწილეთა დაახლოებით ნახევარმა გაიღაშქრა ამ რეზოლუციის წინააღმდეგ, ხოლო დელეგატთა უმრავლესობამ საერთოდ თავი შეიკავა.

□

ქანქარის მოსახლეობა

1 მილიონ 667.700 კაცი შეადგინა ბანამის რესპუბლიკის მოსახლეობამ 1975 წლის 1 ივლისისათვის. ამას იუწყება მოსახლეობის სტატისტიკისა და აღწერის ადგილობრივი სამმართველო.

მოსახლეობის დაახლოებით მესამედი ცხოვრობს დედაქალაქ პანამაში.

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲓᲦᲔᲡ

ნაყოფიერი დისკუსია

გენერალური ასამბლეის სესიაზე

ნიუ-იორკი, (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 30-ე სესიაზე დამთავრდა ზოგადპოლიტიკური დისკუსია. სამი კვირის განმავლობაში ამ ორგანიზაციის მაღალი ტრიბუნიდან გამოვიდნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი 130 სახელმწიფოს წარმომადგენელნი. ისინი შეეხნენ თანამედროვეობის ყველა მწვავე პრობლემას. დისკუსიამ ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ დაძაბულობის შენელება, მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების დამკვიდრება საერთაშორისო განვითარების მთავარი მიმართულებაა.

ზოგადპოლიტიკური დისკუსიის მთელმა მიმდინარეობამ თვალნათლივ დაადასტურა ძალების ისეთი ჯანსაღება მსოფლიო ასპარეზზე, რომელიც შესაძლებელს ხდის კონკრეტულ, დიდმნიშვნელოვან ნაბიჯებს განიარაღების პრობლემათა კომპლექსის გადაჭრაში.

საბჭოთა ინიციატივები განიარაღების დარგში, მათ შორის წინადადებანი — მთლიანად აიკრძალოს ატომური იარაღის ყმოიცდა და დაიდოს შეთანხმება ასევ სახეობათა მასობრივი მოსპობის იარაღის შემუშავებისა და წარმოების აკრძალვის შესახებ, ხაზი გაუსვა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბ. ჰნოუპეკმა, ნაკარნახევია მშვიდობისათვის, კაცობრიობის მომავლისათვის ნამდვილი ზრუნვით და პირველი რიგის რეალური ამოცანებს აყენებს ამის წინაშე.

საბჭოთა წინადადებების მნიშვნელობას, აღნიშნა ბეგრმა ორატორმა, აძლიერებს ავრეთვე სხვა ნაბიჯები განიარაღების დარგში, რომლებიც სსრ კავშირმა და სოციალისტურმა ქვეყნებმა გადადგეს.

დადგა დრო, აღნიშნა ფინეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ო. მატილამ, პირველ პლანზე დავაყენოთ განიარაღების პრობლემები. ამიტომ ჩვენი მთავრობა უპირველეს მნიშვნელობას ანიჭებს ატომური იარაღის გამოვიდების აკრძალვის შესახებ ყოვლისმომცველი ხელშეკრულების დადებას, რომელიც საბჭოთა კავშირმა წამოაყენა.

თითქმის ყველა ორატორმა გამოთქვა რწმენა, რომ ჰელსინკის ატმოსფერო დადებით გავლენას მოახდენს ვენაში და ჟენევაში უკვე წარმოებულ მოლაპარაკებებზე განიარაღების საკითხების გამო. ჰელსინკის უმაღლესი დონის შეხვედრა, თქვა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ს. ოლშოვსკიმ, მოასწავებდა დაძაბულობის შენელების ახალ ეტაპს, მორიგი ნაბიჯი გახდა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების განმტკიცების გზაზე. ევროპის „მშვიდობის ჩარტია“ გახდა მძლავრი ფაქტორი, რომელიც ხელს უწყობს მშვიდობისმოყვარე ძალების ერთიანობის განმტკიცებას ორორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე ევროპაში და მის ფარგლებს გარეთ.

როგორც ინდოეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ი. ბ. ჩავანი აღნიშნავდა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაუდებელი ამოცანა ის არის, რომ განამტკიცოს „ჰელსინკის სულისკვეთება“, მთელი ძალღონით და საშუალებებით შეუწყოს ხელი დაძაბულობის შენელების პროცესის გაღრმავებას, გაავრცელოს იგი პლანეტის ყველა კონტინენტზე საერთაშორისო ვითარების საერთო გაჯანსაღების ინტერესებისათვის.

დისკუსიის მონაწილეებმა სერიოზული წუხილი გამოთქვეს იმის გამო, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ დღემდე ვერ შეძლო აქტიური როლი შეესრულებინა მსოფლიოს მთელ რიგ მშვიდობისათვის საშიშ რაიონებში მშვიდობიანი მოწესრიგების უზრუნველყოფაში. სესიაზე გულისწყრომით დაგმეს ისრაელი აგრესორები.

მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო კვიპროსის პრობლემის მშვიდობიანი და სამართლიანი მოწესრიგების აუცილებლობას.

კამათის ნაყოფიერი და კონსტრუქციული სასიათისადმი მკვეთრ დისონანსად გაისმა ჩინეთის წარმომადგენლის გამოსვლა, რომელმაც „აიმეორა მონაპერი „ზესახელმწიფოების ჰეგემონიის“ შესახებ. ასეთმა პოზიციამ, ცხადია, ვერ პოვა ასამბლეის დელეგატების მხარდაჭერა და კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ მაოისტები განზრახ უწყობენ ხელს დაძაბულობის შენელების მოწინააღმდეგეებს. მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლ. რინჩინმა აღნიშნა, რომ დაძაბულობის შენელების მოწინააღმდეგენი ცდილობენ გააქარწყლონ ხალხთა მეცადინეობა, რომლის მიზანია მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების მტკიცე საყრდენის შექმნა, ჩაფუშონ გამალებული შეიარაღების შეზღუდვისა და განიარაღების კონსტრუქციული ღონისძიებების განხორციელება, რათა ამით მიაღწიონ თავიანთი დიდმპყრობელურ, ჰეგემონისტურ და გაფსპასიონისტურ მიზნებს, „კავშირი დადონ იმპერიალიზმის ყველაზე რეაქციულ ძალებთან.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პრაქტიკული მუშაობა, რომელმაც დაძაბულობის შენელება უნდა შეაჩეროს კონკრეტული შინაარსით, გაგრძელდება პლენარულ სხდომებზე და ასამბლეის კომიტეტებში.

შეკანონიერ აქციას

ნიუ-იორკი, (საკდესი). როგორც ცნობილი გახდა, ქალაქ ოკლენდის (კალიფორნიის შტატი) კოლეჯების მზრუნველთა საბჭომ განახორციელა უკანონო პოლიტიკური აქცია გამოჩენილი ზანგი აქტივისტის, ამერიკის შეერთებული შტატების კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრის ანჟელა დევისის წინააღმდეგ. ახალგაზრდა მეცნიერს, კალიფორნიის უნივერსიტეტის ფილოსოფიის პროფესორის ყოფილ ასისტენტს ლოს-ანჟელესში, უარი უთხრეს სპეციალობის მიხედვით მუშაობაზე, ნება არ დართეს ესწავლებინა საზოგადოებრივი მეცნიერებანი ლენის კოლეჯში.

ოკლენდის მსჯველ ბიზნესმენთა, ბანკირთა და სხვა „მეცენატთა“ გადაწყვეტილება მიღებულ იქნა კოლეჯის ადმინისტრაციის აზრის წინააღმდეგ, რომელმაც ა. დევისი სამუშაოზე მიიწვია. „მზრუნველებმა“ თავიანთი უარი ამით დასაბუთეს, რომ თითქოს ა. დევისს „არ აქვს საკმაო მეცნიერული მომზადება, რათა ასწავლოს კოლეჯში“. ბეგრი მომხმარებელის აზრით, ეს სასაცილო „განმარტება“ სხვა არაფერია, თუ არა მორიგი ცდა ანგარიშგადასწორონ გამოჩენილ ზანგ აქტივისტს.

ელისეს სასახლის განცხადება

პარიზი, (საკდესი). საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს ვალერი ჟისკარ დ' ესტენს, რომელიც ოფიციალურ ვიზიტად უნდა ჩავიდეს საბჭოთა კავშირში, სურს ცხადყოს, რომ საფრანგეთს სურს კვლავაც ვითარდებოდეს ორი ქვეყნის ხალხთა მეგობრული ურთიერთობა, რომელიც მათ ინტერესებს შეეხამება, ნთქვამია ელისეს სასახლის აქ გამოქვეყნებულ განცხადებაში.

განცხადებაში განსაკუთრებით ხაზგასმულია ის მნიშვნელობა, რომელსაც პრეზიდენტი ანიჭებს სსრ კავშირთან თანამშრომლობას, როგორც საფრანგეთის საგარეო პოლიტიკის ძირითად ელემენტს, რომელიც მიზნად ისახავს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას.

საბჭოთა კავშირში ვიზიტი, აღნიშნულია შემდეგ განცხადებაში, შესაძლებელს გახდის განაგრძონ დიალოგი სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანთან ლ. ი. ბრეჟნევთან, რომელიც 1974 წლის დეკემბერში დაიწყო რამდენიმე დღეა ცხადყო ასეთი უმაღლესი დონის კონტაქტების სარგებლიანობა და მნიშვნელობა საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის თანამშრომლობის შემდგომი განვითარებისათვის.

გარდა ამისა, ვიზიტი შესაძლებელს გახდის შეისწავლონ დაძაბულობის შენელების ახალი პერსპექტივები, რომლებიც ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირმა დასახა.

და ბოლოს, პრეზიდენტ ვ. ჟისკარ დ' ესტენის აზრით, ვიზიტის დროს შესაძლებლობა ექნებათ გამოხატონ მისწრაფება საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობისა და თანამშრომლობისადმი.

ჯ. ფორდის პრეს-კონფერენცია

ვაშინგტონი, (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯ. ფორდმა გამართა პრეს-კონფერენცია, რომელიც ელაპარაკა შეერთებული შტატების საგარეო და საშინაო პოლიტიკის შიელ რიგ საკითხებზე.

როცა შეეხო სინის ნახევარკუნძულზე ამერიკელი ტექნიკური სპეციალისტების გაგზავნის, რაც გათვალისწინებულია ეგვიპტისა და ისრაელის ჯარების დაშორიშორების შესახებ შეთანხმებით, პრეზიდენტმა უარყო ცნობა, თქვა ამ ჯგუფისათვის სამხედრო პირებს შეარჩევენ. ამავე დროს მან თავი აარიდა პასუხს კითხვაზე, ხომ არ შეასრულებენ მეთვალყურეთა როლს ცენტრალური საფაზეერო სამმართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების სხვა სადაზვერვო უწყებათა თანამშრომელნი.

პრეზიდენტმა პრეს-კონფერენციაზე დაიცვა შეერთებულ შტატებში გადასახადთ დაბეგვრისა და ფედერალური ხარჯების ახალი ეკონომიური პროგრამა, რომელიც ამ დღეებში შეიტანა კონგრესში. როგორც ცნობილია, ამ პროგრამის წინადადებები კერძო პირთა და კორპორაციათა გადასახადების რამდენადმე შემცირების, აგრეთვე ფედერალური ხარჯების შეზღუდვის შესახებ გაკრიტიკა კონგრესმა, სადაც უმრავლესობა დემოკრატიულ პარტიას აქვს. კონგრესმა ამ პროგრამას „ფულსაბამო“ უწოდა. ჯ. ფორდმა აღნიშნა, რომ მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი მიაღებინოს ეს პროგრამა, და განაცხადა, რომ ამერიკის ეკონომიკა ეფექტიანად ანგარიშობდნენ, რა სარგებლობა შეიძლება გამოიტანონ შექმნილი სიტუაციიდან, ვარაუდობდნენ, ხომ არ გახდება ახლა ფრანკლინტული რეჟიმი უფრო დამყოლი, როცა საერთაშორისო ინფლაციასაც აღმოჩნდა. როგორც ჩანს, მადრიდში ვაშინგტონის „თავშეკავება“ დააფასეს, და შეთანხმების ეადის განვრძობას მიაღწიეს სწორედ მძაფრი მსოფლიო პროტესტების ვითარებაში. შეერთებული შტატების ამ ნაბიჯს, სინანულით აღნიშნა გაზეთმა „ნიუ იორკ ტაიმსმა“, „მთელი მსოფლიო აუცილებლად მიიჩნევს რეპრესიული რეჟიმის დახმარების, მეორე მსოფლიო ომის პერიოდის ფაშიზმის ნაშხვერევის შენარჩუნების ცდად, ფაშიზმისა, რომელსაც ირა აქვს არსებობის უფლება“.

ასეთია ამ სამარცხვინო გარიგების ნამდვილი აზრი. (საკდესი).

ᲤᲝᲢᲝᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

პრეზიდენტის გადაწყვეტილება

ვაშინგტონი, 11 ოქტომბერი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯ. ფორდმა კონგრესს წარუდგინა კანონპროექტი სამთავრობო კორპორაციის — „ენერგეტიკული დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის სამმართველოს“ შექმნის შესახებ. კანონპროექტში აღნიშნულია: სამმართველოს მიზანია ხელი შეუწყოს ღონისძიებებს, რომ შეერთებულმა შტატებმა ენერგეტიკის დარგში მიაღწიოს თვითუზრუნველყოფის კერძო სექტორში ენერგეტიკული პროექტების ხორციელსაბმისათვის ფინანსური დახმარების გამოყოფის გზით.

კანონპროექტის დამტკიცებაში, რომელიც თეთრ სახლში გავრცელდა, აღნიშნულია, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში ენერგეტიკის სფერო კვლავ უარესდება. ახლა ნავთობის მოპოვება ყველაზე დაბალ დონეზეა უკანასკნელი 9 წლის მანძილზე. მისმა იმპორტმა მიაღწია სახმარი ნავთობის საერთო მოცულობის 37 პროცენტს, ხოლო 1985 წლისათვის, თუ არ განხორციელდა შესაბამისი ღონისძიებანი, 50 პროცენტს გადააჭარბებს. 1974 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებს ნავთობის შემატანა 25 მილიარდი დოლარი დაუჯდა, მომავალში მისი ღირებულება ყოველწლიურად 2 მილიარდით მოიმატებს. ბუნებრივი გაზის მოპოვება მარშან 6 პროცენტით, მომდინარე წლის პირველ ნახევარში კი 8,5 პროცენტით შემცირდა.

უკვე დაიწყო იაპონელ მშრომელთა ტრადიციული საშემოდგომო ბრძოლა თავიანთი ეკონომიური და პოლიტიკური უფლებებისათვის. წლეულს მშრომელთა გამოსვლები რთულ პირობებში მიმდინარეობს. იაპონია განიცდის ღრმა ეკონომიურ კრიზისს, მცირდება წარმოება, იხურება ქარხნები, იზრდება უმუშევრობა.

ტოკიოში გამართულმა ცენტრალურმა მიტინგმა საფუძველი ჩაუყარა მშრომელთა საშემოდგომო შეტევას, რომლის ერთ-ერთი მთავარი ლოზუნგი იყო შრომისუნარის მქონე მოსახლეობის სამუშაოთი დაკმაყოფილება. შემდეგ მიტინგის მონაწილეებმა ჩაიარეს ქალაქის ცენტრალურ ქუჩებში.

სურათზე: მიტინგის მონაწილენი ტოკიოს ქუჩებში.

ე. ზაცეპინის ფოტო (საკდესის ფოტოქრონიკა).

ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘ

სამარცხვინო გარიგება

ამ კვირაში ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ესპანეთმა დაიღნიეს ახალ შეთანხმებას ესპანეთის ტერიტორიაზე ამერიკის სამხედრო ბაზების შენარჩუნების შესახებ. ამას წინ უძღოდა ათ თვეზე მეტი ხნის გაჟფრებული ვაჭრობა. თუმცა უნდა ითქვას, რომ მხარეებს შორის არ ყოფილა პრინციპული უთანხმოება საქმის თვით არსის გამო. ამერიკის შეერთებული შტატებიც და ესპანეთიც არ მალავდნენ, რომ დაინტერესებული იყვნენ ამ შეთანხმების განგრძობით, რომლის მოქმედებას ვადა გაუდიოდა მომდინარე წლის 25 სექტემბერს. ოდავობდნენ მხოლოდ თანხაზე. თუ ფრანკისტები მოითხოვდნენ 2-2,5 მილიარდ დოლარის სამხედრო და სხვადგარ „დახმარებას“ და ზოგიერთ სხვა დათმობას, პენტაგონი, რომელსაც არ ჰქონდა კონგრესის თანხმობის იმედი, ცდილობდა შეეზღუდა მათი მადა და სთავაზობდა უფრო მცირე თანხას — 500 მილიონ დოლარს.

ამერიკის შეერთებულ შტატებს 1953 წლიდან ესპანეთის ტერიტორიაზე აქვს ოთხი დიდი სამხედრო ბაზა, რომელთა შორის ყველაზე დიდმნიშვნელოვანი — როტაში, პიბრალტარის პირდაპირ — გათვალისწინებულია ატომური წყალქვეშა ნაეფბისათვის. პენტაგონისათვის ეს საყრდენი წერტილები ევროპის სამხრეთ-დასავლეთში ორი ათასი სამხედრო ბაზის იმ ავბედითი ყელსაბამის ნაწილი როდია, რომელიც მან მთელ დედამიწის სფეროს შემოავლო. მისთვის ამ ბაზებს განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა სწორედ ახლა, საბერძნეთსა და პორტუგალიაში ფაშისტური რეჟიმის დამხობის შემდეგ და ამერიკა-თურქეთის ურთიერთობის გაუარესების პერიოდში. ოფიციალური ვაშინგტონი ამ ბოლო დროს ტყუილად როდი აცხადებდა, რომ ფრანკისტული ესპანეთი „შეუცვლელ“ როლს ასრულებს დასავლეთის საერთო სამხედრო სისტემაში.

შეიმუშავეს კიდევ ნატოში ესპანეთის თანდათანობით ჩაბმის გეგმა მაგრამ ამ გეგმის განხორციელებას ხელი შეუშალა თვით ფრანკისტულმა რეჟიმმა, რომელმაც ვერ მოახერხა გარეგნულად მაინც შეენარჩუნებინა ბურჟუაზიული რესპუბლიკობა.

მგელმა ვერ შეძლო — ან არ მოინდომა — ჩამფეცცა ცხვრის ტყავი... რეჟიმის სასტიკმა ანტიხალხურმა რეპრესიებმა და ხუთი ესპანელი ანტიფაშისტის დახვრეტამ დიდი აღშფოთება გამოიწვიეს მთელ მსოფლიოში. ასეთ ვითარებაში დასავლეთ ევროპის ბევრმა ქვეყანამ მადრიდიდან გამოიწვია თავისი ელჩები, „საერთო ბაზრის“ წევრებმა შეწყვიტეს მოლაპარაკება ესპანეთთან სავაჭრო ხელშეკრულების შესახებ, ხოლო ნატოელებმა იძულებული გახდნენ ხელი აეღოთ თავიანთ განზრახვაზე — მიეღოთ იგი თავიანთ რიგებში.

მაგრამ დაგმობის საერთო გუნდში არ ისმის ოფიციალური ვაშინგტონის ხმა. იქ დუმდნენ და ცდილობენ ანგარიშობდნენ, რა სარგებლობა შეიძლება გამოიტანონ შექმნილი სიტუაციიდან, ვარაუდობდნენ, ხომ არ გახდება ახლა ფრანკისტული რეჟიმი უფრო დამყოლი, როცა საერთაშორისო იზოლაციასაც აღმოჩნდა. როგორც ჩანს, მადრიდში ვაშინგტონის „თავშეკავება“ დააფასეს, და შეთანხმების ვადის განვრძობას მიაღწიეს სწორედ მძაფრი მსოფლიო პროტესტების ვითარებაში. შეერთებული შტატების ამ ნაბიჯს, სინანულით აღნიშნა გაზეთმა „ნიუ იორკ ტაიმსმა“, „მთელი მსოფლიო აუცილებლად მიიჩნევს რეპრესიული რეჟიმის დახმარების, მეორე მსოფლიო ომის პერიოდის ფაშიზმის ნაშხვერევის შენარჩუნების ცდად, ფაშიზმისა, რომელსაც ირა აქვს არსებობის უფლება“.

ასეთია ამ სამარცხვინო გარიგების ნამდვილი აზრი. (საკდესი).

ᲮᲐᲚᲮᲗᲐ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲛᲔᲮᲡᲘᲠᲔᲑᲐ

გიორგი მდივნის დაბადების 70-ე წლისთავის გამო

□

ლიდხანს მეხსომება წლეგანდელი 22 სექტემბერი. მწვანე და წყნარი მოსკოვური ქუჩა. ჩვენი სახელოვანი თანამემამულის — გიორგი მდივნის ბინა.

მასპინძლის ხალისიანი, ახალგაზრდული ხმა, დროთა სვლისაგან გაუმეზარავი. მისთვის უსაზღვროდ საყვარელ საქართველოში, თავისი ლიტერატურული მოღვაწეობის გარიჟრაჟზე ალბათ ასეთივე მომხიბვლელი ხმით კითხულობდა იგი ლექსებს, იმ ლექსებს, „პროლეტმაფსა“, „მერცხალსა“ თუ „დარიალში“ გივი მდივნის ხელმოწერით რომ ქვეყნდებოდა (ეს იმიტომ, რომ ახალგაზრდა ავტორთა მორის მაშინ სხვა გიორგი მდივანიც ყოფილა!);

ტელეფონის შუალამემდე გაბმული ჩურიული და მხიარული, მეგობრული საუბარი ჩვენი ქვეყნის გამოჩენილ ადამიანებთან, რომლებიც მან დიდი პატივისცემითა და სიყვარულით ულოცავდნენ დაბადების დღეს, შინაარსიანი ცხოვრების ღირსშესანიშნავ თარიღს...

როცა ბუბილარი ტელეფონით ეგაასებოდა ახლობლებსა და პატივისმცემლებს, მე ფანელი გადავავლე დეპეშებსა და წერილებს, საამბოლოს ყოველი კუთხიდან რომ მიუღია ჩვენებური კაცი.

ხაკმარისია ეს დეპეშები და წერილები წაიკითხოთ და მიხვდებით რარიგ დიდ შეფასებას იმსახურებს გიორგი მდივნის შემოქმედება და საზოგადოებრივი მოღვაწეობა.

ᲑᲘᲝᲠᲒᲘ დავითის-ძე მდივანი დაიბადა 1905 წელს, სოფელ ბაღდათში.

1924 წელს, ქუთაისის სამუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიურ ფაკულტეტზე შევიდა.

ლიტერატურულ სარბიელზე გამოვიდა, როგორც პოეტი. 1923 წელს დასავლეთ საქართველოს პროლეტარული მწერლების ასოციაციის პასუხისმგებელი მდივნად აირჩიეს.

1929 წელს დაწერა კინოსცენარი „ახალგაზრდობა იმარჯვებს“. ამ დროიდან იწყება გიორგი მდივნის აქტიური, შეუწყვეტელი მუშაობა კინოდრამატურგიაში. ორმოცზე მეტი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი შექმნეს მისი სცენარების მიხედვით თბილისის, მოსკოვის, ბაკოს კინოსტუდიებში.

მივიწყოთ რამდენიმე ადრინდელი: „რეტ-ფენი“, „დაჯარული სამოთხე“, „მფრთხავი მეუბავი“, „სამშობლო“, „ეგოისტავის მთეში,“ „რეგითი ალექსანდრე მატროსოვი“...

უკანასკნელ წლებში შეიქმნა ფილმები „ჯარისკაცი ივანე ბრიგკინი“, „ჩვენი ეზო“, „საბუდარელი ბაბუკა“, „კეთილი ადამიანები“, „ბედურული ბალადა“, „დიდი გზა“ (ჩეხოსლოვაკიის კინემატოგრაფისტებთან თანამეგობრობით), „მზესუმზირები“ (იტალიელ კინემატოგრაფისტებთან ერთად), „ვარსკვლავები და ჯარისკაცები“ (უბერული კინემატოგრაფიისათვის), „მორს დასავლეთით“, „მარადისობის ელჩები“.

1936 წელს გიორგი მდივანმა დაწერა პირველი პიესა „ალკაზარი“ — გმირული დრამა ფაშიზმის წინააღმდეგ ესპანელი ხალხის ბრძოლაზე. უფროსი თაობის ადამიანებს უთუოდ ახსოვთ ბრწყინვალე წარმატება, რაც პიესას ხვდა წილად. თავის დროზე იგი საბჭოთა კავშირის მრავალ თეატრში დაიდგა.

„ალკაზარს“ მოჰყვა პიესები: „სამშობლო“, „ბატალიონი მიდის დასავლეთისაკენ“, „მოსკოვის ბჭესთან“, „პარტიზანები“, „პეტრე ბაგრატიონი“...

დიდი სამამულო ომის შემდეგ დაწერილი პიესებიდან გავიხსენოთ: „ვინ არის დამნაშავე“, „კეთილი ნების ადამიანები“, „ტერეზას დაბადების დღე“, „ეინსული მოიპარეს“, „დიდედა“, „შენი ძია მიშა“...

დრამატურგის ოცზე მეტი პიესა დაიდგა მოსკოვის, მოძმე რუსეთის, ეროვნებათა და საზღვარგარეთის თეატრების სცენებზე.

გიორგი მდივანი მრავალჯზის იყო არჩეული მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის წევრად, მრავალჯზის მონაწილეობდა მშვიდობის მომხრეთა საერთაშორისო კონგრესებსა და კონფერენციებში.

აქ ყველაზე მეტი დაეჯერებათ მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტს, მის თავმჯდომარეს — ნიკოლოზ ტიხონოვს და პასუხისმგებელ მდივანს — მიხეილ კოტოვს.

ისინი კი მშვიდობის დამცველთა მრავალმილიონიანი არმიის დავალებითა და სახელით მხურვალედ მიესალმებიან გიორგი მდივანს, როგორც გამოჩენილ საბჭოთა დრამატურგს, მრავალი პიესისა და კინოფილმის ავტორს, შემოქმედს ნაწარმოებებისა, რომლებშიც დასტატულია ჩვენთა თანამედროვეთა სახეები, აღძრულია საჭირბოროტო პრობლემები, მილიონობით ადამიანს რომ აღელვებს.

ისინი განსაკუთრებული მადლიერებით აღნიშნავენ მწერლის დიდ წვლილს ხალხთა შორის მეგობრული კავშირის განმტკიცებაში, დასავლეთის კულტურის მოღვაწეებთან თანამშრომლობის განვითარებაში, საერთაშორისო კინოფესტივალებისა და დისკუსიების მოწყობაში.

ისინი ხიხარულით აცნობებენ გიორგი მდივანს, რომელიც ადრე დაჯილდოებული იყო ოქროს მედლით — „მშვიდობისათვის მებრძოლს“, — რომ დაუცხრომელი საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის მას მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მედალი მიენიჭა.

გიორგი მდივანი საკავშირო მწერალთა კავშირისა და მოსკოვის საქმწერლო ორგანიზაციის სარევიზიო კომისიების, „ლიტერატურნაია როსიას“ სარედაქციო კოლეგიის, მოსკოვის საქალაქო საბჭოს კულტურის სამმართველოს კოლეგიის, სხვ კავშირისა და რსფსრ მწერალთა კავშირების დრამატურგიის კომისიების, გამომცემლობა „სოვეტსკი პისატელის“ გამეგობის წევრია. და არსად ითვლება მხოლოდ საპატიო წევრად!

საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დიდი დამსახურებისათვის მწერალი დაჯილდოებულია ორი შრომის წითელი დროშის ორდენით, მიღებული აქვს მრავალი მედალი.

ახლახან, საიუბილეო დღეებში, სამშობლოს კიდევ ერთი დიდებული ჯილდო მიიღო — ხალხთა მეგობრობის ორდენი.

გიორგი მდივნის ცვლარებისა და პიესების მისეული ფილმები და სპექტაკლები შექმნეს გამოჩენილმა რეჟისორებმა: ნიკოლოზ შენგელაიამ, რევაზ ჩხეიძემ, ვლადიმერ ლუკოვმა, ივანე ლუკინსკიმ, იური ოზეროვმა, მიკლოს ია ნიჩიმ, ვიტორიო დე სიკამ, ვლადიმერ პეტროვმა, ალექსეი დიკმა, ალექსანდრე თაიროვმა...

ᲖᲔᲛᲝᲗᲛᲝᲛᲬᲔᲠᲘᲚᲘ მონაცემები ახასიათებს გიორგი მდივნის მრავალმხრივ, ნაყოფიერ შემოქმედებითს და საზოგადოებრივ მოღვაწეობას.

ხანდაზმულობა? არა! გიორგი მდივნისთვის თითქოს დრო არ არსებობს — იგი ჯერაც ენერგიულია და ვაქკაცურად შემართული.

დაღლილობა? არა! მისი მაზნეებარეგული არ იღლება მამულის სიყვარულით, კეთილი სურვილებითა და საქმეებით, ადამიანებზე ზრუნვით.

გიორგი მდივანი ხშირად იგონებს ბაღდათში დაბადებულ პოეტს — ვლადიმერ მაიაკოვსკის. იგონებს 1927 წელსაც, როცა იგი სხვა ახალგაზრდა მგოსნებთან ერთად შეხვდა საქართველოში ჩამოსულ დიდ თანამემამულეს; იგონებს მაიაკოვსკის სამახსოვრო სიტყვებს:

— თქვენი ლეჭური გულს ათრთოლებს. მე თვითონ კინალამ ავტირდი, მაგრამ, დამიჯერეთ: თუკი მე, ვლადიმერ მაიაკოვსკი, თავს ნებას მივცემდი, ისეთ ლირიკას შევქმნიდი, რომ ცრემლებად იქცეოდა ყველა — ჩვიდმეტიდან ესპანელი სამოცდაათი წლის ასაკამდე! მაგრამ მე დღეს ამისათვის როდი მეალია, ჩვენ ყალამდე საქმეები გვაქვს! ამაზე ფიქრეთ, ამხანაგო პოეტებო!

სიტყვები მაიაკოვსკისა, ვისაც ეთაყვანებოდა მაშინდელი რევოლუციური შემოქმედებითი ახალგაზრდობა, სამუდამოდ დარჩა გიორგი მდივნის გულში — მთელი მისი შემოქმედების შთამაგონებელი გახდა.

იგი ჯერ კიდევ მაშინ მიხვდა ჭეშმარიტებას, რომ ხელოვნება ხალხს უნდა ემსახუროს, შემოქმედი უნდა იყოს ადამიანთა სიხარულისა თუ ტკივილების გამომხატველი.

წლები, მოვლენები, ცხოვრება ვერ ცვლიდა მიზანს, რაც დრამატურგმა იმთავითვე დაისახა. თანდათან მაღლდებოდა მისი ლიტერატურული ოსტატობა, ფართოვდებოდა თემატიკა, მძლავრდებოდა მისი მწერლური ხმა, სახელი და ავტორიტეტი, მაგრამ მას არასოდეს უღალატნია არჩეული გზისთვის.

გიორგი მდივანი როდი ჰგავს იმ ავტორებს, რომლებიც ნიავის ყოველ ჩამოქროლებაზეა იცვლიან ლიტერატურულ შეხედულებებს. რომელიმე ასეთი ავტორის ნაწარმოებები ორ წიგნად რომ შეკრიბო, იგი ორი ერთმანეთის საწინააღმდეგო აზრების მქადაგებლის როლში მოგვეელინება. ისეთი ხერხიანული მხატვარი კი, როგორც გიორგი მდივანია, რა თქმა უნდა, ამგვარ მოლიბულ გზას ვერ დაადგებოდა.

გიორგი მდივანი აგრძელებს საბჭოთა მეწერლის უფროსი თ

ხელოვნება — მუშა ახალგაზრდობას

გაიხსნა „ახალგაზრდა მუშის ფილარმონიის“ მესამე სეზონი

დიდ სიმონცერტო დარბაზში ახლიდმოდ გაიხსნა „ახალგაზრდა მუშის ფილარმონიის“ მესამე სეზონი. წელს იგი დიმთხვა პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების კოლექტივთა ცხოვრებაში ორასშესანიშნავი თარიღს — ჩვენს ქვეყანაში პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის 35 წლისთავს.

ლექციებიკონცერტები, რომლებიც პოპულარიზაციას უწევენ ქართულ ხელოვნებას, თანამედროვე მუსიკას და საბჭოთა კავშირის ხალხთა ცეკვებს, მომავალ ხარატებს, ფეიერებს, მშენებლებს, ელექანიზატორებს აცნობენ რესპუბლიკის საუკეთესო პროფესიულ კოლექტივებს, ახალგაზრდა მუშებს დიდ ინტერესს იწვევენ, ხელს უწყობენ ესთეტიკური გემოვნების დახვეწას, ეკონომიური ჰორიზონტის გაფართოებას. მარტო შარშან „საკუთარ“ ფილარმონიაში კონცერტებს დაესწრო თბილისისა და რუსთავის პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელთა 20 ათასი მოსწავლე.

წლევანდელ სეზონში სპეციალური კონცერტები მიეძღვნება XXII კონგრესს. აღიდგინდება ამ ღირსშესანიშნავი მოვლენისადმი მიძღვნილი ქართული კომპოზიტორთა ახალი ნაწარმოებები.

ახალ სეზონში პირველი ლექციაკონცერტი გაიხსნა მუსიკათმცოდნე ე. მაჭავარიანისა. მან დამსწრეთ უამბო, თუ რა შემოქმედებითი გზა განვლო ქართული ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიურმა დამსახურებულმა ანსამბლმა, რომელსაც ხელმძღვანელობენ სსრ კავშირის სახალხო არტისტები, სახელმწიფო პრემიისა და რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატები ნინო რამიშვილი და ილიკო სუხიშვილი.

სიტყვა ეძლევა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს კ. მიქიაშვილს. მან მოსწავლეებს მიულოცა პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის 35 წლისთავი, ახალი სეზონის დაწყება „ახალგაზრდა მუშის ფილარმონიაში“, უსურვა დიდი წარმატებანი შრომისა და სწავლაში.

მომავალი მუშები გულთბილად შეხვდნენ ქართული ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიური დამსახურებული ანსამბლის გამოსვლას.

ანსამბლის კოლექტივსა და მის ხელმძღვანელებს გადაეცათ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის სპატიო სიგელები. (საქინფორმი).

ქართული ჩაი — საზღვარგარეთ

ტყიბული. (საკ. კორ). ორპირის ჩაის ფაბრიკის ნაწარმზე — შავ-ბალი ჩაიზე, დიდი მოთხოვნილებაა საზღვარგარეთის ქვეყნებში. ორპირული ჩაი განსაკუთრებით მოსწონთ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ამიტომ არის, რომ მეცხრე ხუთწლედის განვლილ პერიოდში ორპირიდან ამ ქვეყანაში 163 ტონა ჩაი გაიგზავნა. უნგრეთმა ამავე პერიოდში მიიღო 96 ტონა, ხოლო ჩუბამ — 35,5 ტონა შავი ბაიხაოს ჩაი.

წლეულს ორპირის ჩაის ფაბრიკის მიერ გამოშვებული პროდუქციის მომხმარებელი გახდა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკა. იქ უკვე გაიგზავნა 60 ტონაზე მეტი ჩაი.

მაღაროელთა მომსახურებისათვის

ჭიათურა. ამ დღეებში ყაზბეგის ქუჩაზე საექსპლოატაციოდ გადაეცა დიეტური სასადილო, რომელიც აღჭურვილია ელექტროობური და მექანიკური დანადგარებით. სასადილოს ამშვენებს თანამედროვე სანიტარიული მალხარისხოვანი აგეგმა, კედლები მოპირკეთებულია თეთრი და რუხი მარმარილოთი.

სამშენებლო სამუშაოები შეასრულეს ტრესტ „ჭიათურმარგანეცის“ სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს და „კალექტრომონტაჟის“ ჭიათურის უბნის კოლექტივებმა.

ხ. კუპატაძე

ტანმოვარჯიშეები ბამ-ის სტუმრები



ულან-უდე. ბაიკალ-ამურის მაგისტრალის მოწინავე მშენებლები ხიდების ლითონკონსტრუქციების ქარხნის მუშები, რომლებიც ბამ-ის შეკვეთებს ასრულებენ, შეხვდნენ ტანვარჯიშის ოსტატებს, საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრებს, რომლებიც ტურნეს ატარებდნენ ციმბირში. ბურიატეთის ათასობით მცხოვრებმა ნახა სახელოვან ოსტატთა საჩვენებელი გამოსვლები.

ხურათზე: ხტუმრად ხიდის კონსტრუქციებთან. თავიხუფალ ვარჯიშებს ასრულებენ ე. საადი, ნ. დრონოვა, რ. ბიჩუკინა, ლ. გორბი კი და ხ. კუდინოვა.

ფ. მატვეევსკის ფოტო (საკინფორმი).

ფეხბურთი

დღეს ციურიხში

დღეს ციურიხში გაიმართება ევროპის ჩემპიონატის მე-6 ფესალრჩევი ჯგუფის მორიგი მატჩი სსრ კავშირისა და შვეიცარიის ნაკრებ გუნდებს შორის.

ჩვენს გუნდში კიევის 11 ფეხბურთელი: რუდაკოვი, ფომენკო, რუმკო, კონკოვი, ტროშკინი, ბერეზოვეცი, მუსტაინი, ბურიაკი, კოლოტოვი, ონიშჩენკო, ბლოხინი, აგრეთვე ფეხბურთელები სხვა გუნდებიდან — მეკარეები ასტაპოვსკი (ცსკა) და პროხოროვი (ლოკომოტივი), მცველები ზვიგინცევი (ლოკომოტივი), ლევანევი („სპარტაკი“), თავდასხმელები სალეკინი („სპარტაკი“) და ფიალკინი („ლოკომოტივი“).

ამ ჯგუფში ჯერჯერობით ლიდერობს ირლანდიის ნაკრები — ხუთი ქულა ხუთი თამაშის შემდეგ. სსრ კავშირის ნაკრებს სამი შეხვედრიდან ოთხი ქულა აქვს, ამდენივე ქულა აქვს ოთხი თამაშის შემდეგ თურქეთის გუნდსაც. შვეიცარიელებმა რვა შესაძლებლიდან სამი ქულა მოაგროვეს, ფინალში გასასვლელად საბჭოთა ნაკრებს სამ დარჩენილ მატჩში ოთხი ქულის მოპოვება სჭირდება. ციურიხის მატჩის გარდა ჩვენი ფეხბურთელები ითამაშებენ საკუთარ მოედანზე შვეიცარიის გუნდთან (12 ნოემბერს) და თურქეთის გუნდთან მის მოედანზე — 23 ნოემბერს.

მატჩი ციურიხიდან ტრანსლირებული იქნება ცენტრალური ტელევიზიით 17 საათსა და 55 წუთიდან თბილისის დროით.

გამარჯვება ტაშკენტში

გუშინ თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებმა საკავშირო გათამაშების მორიგი მატჩი ჩაატარეს ტაშკენტში „პახტაკორთან“.

თამაშის მე-10 წუთზე გუცაევმა მოიტყუა მასპინძელთა მცველი ბასოვი და ზუსტი დარტყმით გახსნა ანგარიში — 1:0. ეს ბურთი ერთადერთი აღმოჩნდა ამ მატჩში, თბილისის „დინამომ“ მიმდინარე გათამაშებაში მეათე გამარჯვება მოიპოვა.

დინამოელთა კარს ამ მატჩში იცავდა ახალგაზრდა მეკარე იმნაძე, რომელმაც რამდენიმე ძნელი ბურთი აიღო.

თბილისელები ასეთი შემადგენლობით თამაშობდნენ: იმნაძე, ძოძუაშვილი, ბელიძე, ებრალიძე, ხინჩაგაშვილი, ქორიძე, მ. მაჩაიძე, ასათიანი (გ. მაჩაიძე), გუცაევი, დარასელია, ესებუა.

ამავე გუნდების სათადარიგო შემადგენლობათა მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1. დინამოელთაგან ბურთი გაიტანა ჩიკვაძემ.

გუშინ სტადიონებზე

გუშინ გაიმართა „ა“ კლასის უმაღლესი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის 26-ე ტურის კიდევ ოთხი შეხვედრა, რომელთა შედეგები ასეთია:

„ჩერნომორეცი“ — სკა — 1:1
„ არარატი“ — „კარპატი“ — 1:0
„ზარია“ — „შახტიორი“ — 1:1
„ლოკომოტივი“ — „ტორპედო“ — 0:1

გამარჯვება ტაშკენტში

გუშინ თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებმა საკავშირო გათამაშების მორიგი მატჩი ჩაატარეს ტაშკენტში „პახტაკორთან“.

თამაშის მე-10 წუთზე გუცაევმა მოიტყუა მასპინძელთა მცველი ბასოვი და ზუსტი დარტყმით გახსნა ანგარიში — 1:0. ეს ბურთი ერთადერთი აღმოჩნდა ამ მატჩში, თბილისის „დინამომ“ მიმდინარე გათამაშებაში მეათე გამარჯვება მოიპოვა.

დინამოელთა კარს ამ მატჩში იცავდა ახალგაზრდა მეკარე იმნაძე, რომელმაც რამდენიმე ძნელი ბურთი აიღო.

თბილისელები ასეთი შემადგენლობით თამაშობდნენ: იმნაძე, ძოძუაშვილი, ბელიძე, ებრალიძე, ხინჩაგაშვილი, ქორიძე, მ. მაჩაიძე, ასათიანი (გ. მაჩაიძე), გუცაევი, დარასელია, ესებუა.

ამავე გუნდების სათადარიგო შემადგენლობათა მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1. დინამოელთაგან ბურთი გაიტანა ჩიკვაძემ.

გუშინ სტადიონებზე

გუშინ გაიმართა „ა“ კლასის უმაღლესი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის 26-ე ტურის კიდევ ოთხი შეხვედრა, რომელთა შედეგები ასეთია:

„ჩერნომორეცი“ — სკა — 1:1
„არარატი“ — „კარპატი“ — 1:0
„ზარია“ — „შახტიორი“ — 1:1
„ლოკომოტივი“ — „ტორპედო“ — 0:1

ლიდერები იმარჯვებენ

გაიმართა „ა“ კლასის პირველი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის 34-ე ტურის მორიგი მატჩები. ქუთაისის „ტორპედოს“ და ზაპოროჟიეს „მეტალურგის“ მატჩის შედეგს (4:2) უკვე ვიუწყებოდით.

აი დანარჩენ შეხვედრათა შედეგები: „კიევატი“-„ალგა“ — 3:0; „ნეფტჩი“-„პამირი“ — 3:0; „ყუბანი“-„დინამო“ მნ. — 0:1; „სპარტაკი“ ნალჩ.-„შინიკი“ — 3:2; „სპარტაკი“ ორჯ.-„კრილია სოვეტოვი“ — 1:2; „ნისტრუ“-„კუზბასი“ — 3:1; „სპარტაკი“ ი.ფ.-„ურალმაში“ — 0:2; „ტავრია“-„რუბინი“ —2:1; „მეტალისტი“-„ზვეზდა“ — 2:2.

გათამაშების ცხრილი

„ა“ კლასის პირველი ლიგა

მდგომარეობა 12 ოქტომბრისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ჯ.
„არ. სოვეტოვი“	34	19	8	7	68-33	46
„აპარატი“	34	19	6	9	51-30	44
„დინამო“ მნ.	33	18	8	7	45-26	44
„ტორპედო“	34	15	13	6	48-28	43
„ნეფტჩი“	34	16	10	8	54-30	42
„ტავრია“	34	17	7	10	56-38	41
„ნისტრუ“	34	16	9	9	40-37	41
„სპარტაკი“ ორჯ.	34	14	7	13	36-36	35
„შინიკი“	34	11	12	11	43-39	34
„პამირი“	33	11	11	11	40-43	33
„სპარტაკი“ ი.-ფ.	34	13	6	15	45-41	32
„მეტალურგი“	34	10	11	13	40-40	31
„კუზბასი“	34	12	7	15	34-44	31
„რუბინი“	34	9	12	13	32-50	30
„ყუბანი“	34	10	9	15	32-41	29
„ზვეზდა“	34	10	8	16	29-41	28
„სპარტაკი“ ნალჩ.	34	8	12	14	25-38	28
„მეტალისტი“	34	8	11	15	26-43	27
„ურალმაში“	34	11	4	19	37-53	26
„ალგა“	34	4	5	25	26-76	13

ჭადრაკი

ოქროს მედალი — ქახაბრიშვილს

პროფკავშირების საკავშირო ჩემპიონატის უკანასკნელი ტურიდან გადადებული პარტიების დამთავრებისას კახაბრიშვილმა დაამარცხა პოპოვოდა. ეს მოსკოველი მოჭადრაკის ერთადერთი დამარცხებაა ამ შეჯიბრებაში. კულიკოვა ყაიმს დასჯერდა ზაიცევასთან.

ამრიგად, კახაბრიშვილმა და კულიკოვამ 11-11 ქულით დასრულეს შეჯიბრება. ასეთ შემთხვევაში, დებულების თანახმად უპირატესობა იმას ენიჭებოდა, ვინც მეტი გამარჯვება მოიპოვა. ამ მხრივ კი კახაბრიშვილმა აჯობა მეტოქეს. მას პროფკავშირების ჩემპიონის სპორტული წოდება და ოქროს მედალი მიენიჭა. ეს საქართველოს საშჭოს ჩემპიონის მრავალი დიდი წარმატებაა. გავიხსენოთ, რომ 1973 წელს ციცინომ საერთაშორისო ოსტატის ბალი მოიპოვა. ახლა მას კიდევ ერთი ასეთი შედეგის მიღწევა ხელრდება საერთაშორისო ტურნირში.

10-10 ქულით ტურნირი დასრულეს 13 წლის იოსელიანმა, მოსკოველებმა ვორონოვამ და პოპოვოდამ. რადგანაც მეტოქეებს მოგებათა თანაბარი რაოდენობა ჰქონდათ, ბრინჯაოს მედლის ხიდ კოეფიციენტების ცხრილმა გადაწყვიტა. მესამე ადგილი მიეკუთვნა ნორჩ თბილისელ მოჭადრაკეს.

ციცინო კახაბრიშვილი.

ლიუდმილა კულიკოვა

ნანა იოსელიანი.

ლიდერები იმარჯვებენ

გაიმართა „ა“ კლასის პირველი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის 34-ე ტურის მორიგი მატჩები. ქუთაისის „ტორპედოს“ და ზაპოროჟიეს „მეტალურგის“ მატჩის შედეგს (4:2) უკვე ვიუწყებოდით.

აი დანარჩენ შეხვედრათა შედეგები: „კიევატი“-„ალგა“ — 3:0; „ნეფტჩი“-„პამირი“ — 3:0; „ყუბანი“-„დინამო“ მნ. — 0:1; „სპარტაკი“ ნალჩ.-„შინიკი“ — 3:2; „სპარტაკი“ ორჯ.-„კრილია სოვეტოვი“ — 1:2; „ნისტრუ“-„კუზბასი“ — 3:1; „სპარტაკი“ ი.ფ.-„ურალმაში“ — 0:2; „ტავრია“-„რუბინი“ —2:1; „მეტალისტი“-„ზვეზდა“ — 2:2.

ვოკლე

ბოკეი. გუშინ მოსკოვში გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩი სსრ კავშირის ჩემპიონს ცსკა-სა და ეკს-ჩემპიონს „კრილია სოვეტოვს“ შორის. ანგარიშით 6:5 გაიმარჯვა „კრილია სოვეტოვმა“.

ვეფხისტყაოსანი. თბილისის ეკლესიებში 14-19 ოქტომბერს გაიმართება სეზონის ყველაზე გრძელი რბოლა „თბილისის ექვსი დღე“. ველოსიპედისტებმა უნდა გაიარონ 200 წრე ანუ 80 კილომეტრი.

ტელევიზია

12 ოქტომბერი

პირველი პროგრამით

10.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.10 — დილის გარჯიში — ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — კონცერტი (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.55 — — მსოფლიოს ქალიშვილების შეხვედრის საზეიმო გახსნა. ტრანსლაცია კავშირების სახლის სვეტებიანი დარბაზიდან, 12.00 — „კინომოგზაურობის კლუბი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.05 — სტუდენტთათვის — ზოგადი ფიზიკა, 18.05 — განცხადებები, 18.10 — „ცეროდენას ეარანი“, 18.35 — მეცნიერული კომუნიზმის საფუძვლების შემსწავლელთათვის. „მეცნიერული კომუნიზმი — მარქსიზმ-ლენინიზმის შემადგენელი ნაწილი“, 18.55 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი, 19.05 — რუსულენაკის ახალი ამბები (რუსულ ენაზე), 20.10 — რამდენიმე ლექსი მეგობრობაზე, 20.30 — საერთაშორისო მიმოხილველები უპასუხებენ ტელემაყურებელთა შეკითხვებს, 21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — საესტრადო პანორამა, 22.00 — „ვერმეა“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — მხატვრული ფილმი „დიდი მწერლის საიდუმლო“, დასასრული — ახალი ამბები.

რადიო

13 ოქტომბერი

პირველი პროგრამით

09.25 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.45 — ლ. ბეთჰოვენი — უვერტურა „ლეონორა № 3“, 11.05 — ბ. სკრიაბინი. სფორტეპიანო კონცერტი, 11.45 — საუბარი „პროდუქციის ხარისხი ხამეურნეო საქმიანობის ხარკეა“, 12.25 — „პოეზია უპირველეს ყოვლისა“ — ს. ჩიქოვანის ლექსები, 12.30 — გ. კილადზე. „ქართული სუიტა“, 12.40 — კომენტარი საერთაშორისო თემაზე, 12.45 — ქართული ხალხური სიმღერები, 13.15 — ამინდის ბიულეტენი, 17.35 — მოსწავლეთათვის. კონცერტი „თქვენი თხოვნით, მეგობრებო!“, 18.05 — ქართული ხალხური მუსიკა, 18.45 — ს. ტულიკოვი — სიმღერები, 19.00 — საუბარი „სოციალისტური შეჯიბრება და მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდა“, 20.30 — რადიოგაზეთი ახალგაზრდობისათვის, 21.00 — „ძილისპირული“, 21.10 — რ. მიშველაძე „საბნი“ მოთხრობა, 21.30 — მუსიკალური რადიოკომპოზიცია „დაუვიწყარი“, 23.30 — ფრანგული სიმღერები.

თეატრები

12 ოქტომბერი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — **ამაო სიფრთხილე** (დღისით, IV აბონ. I წარმ.), **ლელა** (საღამოს, მე-14 აბონ. I წარმ.); **შოთა რუსთაველის** სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **მეშვიდე ცა** (დღისით), **კავკასიური ცარცის წრე** (საღამოს); **კოტე მარჯანიშვილის** სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **კვაჭი კვაჭანტირაძე**; **ვასო აბაშიძის** სახელობის მუსიკალური კომედიის — **ხვიტი შვილების მამა** (დღისით), **ძველი თბილისის სურათები** (საღამოს); **საქართველოს** სახელმწიფო მინიატურების — **ზოგიერთის მზის დაბნელება საქართველოში.**

რედაქტორი
დ. მჟელდიშვილი.

ადანაშაულობათა ქვალდაქვალ

ბატივცემული რედაქციავ! თქვენს გაზეთში ხშირად იბეჭდება წერილები დანაშაულებრივ ხალხზე. ეს ძალიან კარგია, მაგრამ რამდენი დანაშაული ხდება, რომელიც სასამართლომდე არ მიდის და საქმე პირდაპირ მილიციაში ან პროკურატურაში ისობა. ასეთებზეც უნდა დაწეროთ, ამისლოთ დამნაშავენი და მათი მფარველები.

ამასწინათ ჩვენს ქალაქში აღმაშფოთებელი ამბავი მოხდა. ახალგაზრდების ჯგუფმა გააუპატიურა 13 წლის გოგონა. დამნაშავენი იპოვნეს და დაიპატიმრეს. მაგრამ დატრიალდნენ ფულიანი, საქმოსანი მათი მშობლები და დიდი თანხა დაუჭადთ, რომ თავიანთი უღირსი შვილები უცოდვლებად გამოეყვანათ. პირდაპირ ხაოცარია, რომ მათ მაგივრად თვით დაზარალებულს უპირებენ დასჯას, ბავშვთა კოლონიაში გზავნიან. აი რა უნდა გამოიტანონ საზოგადოებრივ სამსჯავროზე.

ა. ბალიაშვილი.
თბილისი.

რედაქციამ შეამოწმა ეს საგულისხმო სიგნალი. აი რა გამოიკვეთა...

ესტი, ფერმკრთალი, შავგვრემანი გოგონაა, და მისი დარდითა და საყვედურით სავსე ფართო თაფლისფერი თვალები რომ არა, იქნებ ყურადღებაც არ მიგექციათ.

მაგრამ ამ თვალებს, ამ შემოხედვას გულგრილად ვერ ჩაუვლით. იმდენი დარდი და ურვა, იმდენი სევდა და ნაღველი ჩაქსოვილი მათში, შეუძლებელია არ შეწუხდეთ და თავადაც ნაღვლიანი ფიქრები არ აგვშალოთ.

რა მოუვიდა, რა საადარდელი გასჩენია ასეთი? ის ხომ ჯერაც ბავშვია, ახლა უნდა იყოს ბედნიერი. დარდი მის ასაკში ისეა, როგორც ღრუბლის ნაფლეთი მოწყენილი ცაზე — წუთით მეიფარება მზეს და გადაივლის, გაქრება! მას კი რა ისეთი უბედურება უნდა დასტეხოდა თავს, სიხარულის და იმედის შუქი რომ ჩაუქრა თვალებში?

თვითონ მას რომ ჰკითხოთ, იქნებ არც გიპასუხოთ. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანისთვის საღბუნებივით არის გაჭირვების დროს სხვებს შესჩივლოს და გაუზიაროს თავისი გულისწუხილი. ის გულჩათრობილია და გაჩუმებას არჩევს. სხვებისგან ნუგეშსა და დახმარებას არ მოელის, არ სჯერა ადამიანებისა. ხოლო იმაზე უარესი რაღა უნდა იყოს, როცა ასეთი გულგატეხილობის მიზეზი მართლაც არსებობს. როცა ამის მიზეზი და საფუძველი აქვს 13 წლის გოგონას, ვისაც ყველაზე მეტად სწორედ ახლა, ამ ასაკში სჭირდება უფროსების დახმარება და ხელის გაწვდენა!

დიახ, ცამეტი წლის **ნანა კ-ძეს** სრული უფლება აქვს არ დაუჯეროს, არ ენდოს ადამიანებს, რადგან მან უკვე ამ ასაკში საკუთარ თავზე გამოსცადა თითქმის ყველა ადამიანური მანკიერება — სიცრუე, გულგრილობა, ღალატი, უსამართლობა, ძალმომრეობა.

ოთხი წლისა იყო, მამამ ოჯახი რომ მიატოვა, და ამის შემდეგ გოგონას არ უნახავს იგი, კარგად არც ახსოვს, დედასთან ერთად ცხოვრობდა.

ძნელი იყო უქმროდ, უმამოდ, მაგრამ დედა ცდილობდა არ დაგვიგრძნოს შვილი, წესიერი და პატიოსანი ადამიანი გამოეკვანა. გოგონაც იმედებს უმართლებდა. გულისხმიერი, დამჯერე და მოსიყვარულე ბავშვი იყო. მიუხედავად იმისა, რომ დედის ხელი და ყურადღება აკლდა (მარტოხელა ქალი, ცხადია, სამსახურში იყო), სკოლაშიც ერთგოდ არ სწავლობდა. ამხანაგებს უყვარდათ, რადგან გულმართალი იყო. მეოთხე კლასამდე — ისე მაინდა, ავი არავის გაუგონია მასზე...

და როცა დედას ეკონა, მთავარი გაჭირვება უკვე გადავიტანე, ოცტასაც მოგიომეს და ქალიშვილიც მომესწრებაო, სწორედ ამ დროს დაატყდათ თავს ახალი საბარელი უბედურება.

ეს ამბავი შარშან გაზაფხულზე მოხდა, როცა ნანა ის-ის იყო თორმეტი წლისა შესრულდა. დედა გვიანობამდე მუშაობდა და ნანა ზოგჯერ ბებიასთან მიდიოდა ხოლმე ქალაქის მეორე უბანში. ამ დღეს გოგონა ტრამვაიდან რომ ჩამოვიდა, მხარი ეტკა და შინისკენ გზა ვერ გაიკვლია. მხსი ამ დაბნეულობითა და უმწეობით ისარგებლეს უპატიოსნო ადამიანებმა და სატვირთო ავტომანქანის ძღოლმა ტარიელ მრთაძემ, საეჭვო ყოფაქცევის ქალის გულჩორა ლაბაძის ხელმეწყობით თბილისეს, ზღვაზე გიატყუა გოგონა და გააუპატიურა.

ბოროტმოქმედს შესაფერი მიუზღეს, ორმეტი წლის გოგონასთვის კი მიყენებული ფსიქიკური და მორალური ტრავმა გაციცა-კონცერტი გაიხსნა მუსიკათმცოდნე ე. მაჭავარიანმა. მან დამსწრეთ უამბო, თუ რა შემოქმედებითი გზა განვლო ქართული ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიურმა დამსახურებულმა ანსამბლმა, რომელსაც ხელმძღვანელობენ სსრ კავშირის სახალხო არტისტები, სახელმწიფო პრემიისა და რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატები ნინო რამიშვილი და ილიკო სუხიშვილი.

სიტყვა ეძლევა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს კ. მიქიაშვილს. მან მოსწავლეებს მიულოცა პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის 35 წლისთავი, ახალი სეზონის დაწყება „ახალგაზრდა მუშის ფილარმონიაში“, უსურვა დიდი წარმატებანი შრომისა და სწავლაში.

მომავალი მუშები გულთბილად შეხვდნენ ქართული ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიური დამსახურებული ანსამბლის გამოსვლას.

ანსამბლის კოლექტივსა და მის ხელმძღვანელებს გადაეცათ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის სპატიო სიგელები. (საქინფორმი).

ქართული ჩაი — საზღვარგარეთ

ტყიბული. (საკ. კორ). ორპირის ჩაის ფაბრიკის ნაწარმზე — შავ-ბალი ჩაიზე, დიდი მოთხოვნილებაა საზღვარგარეთის ქვეყნებში. ორპირული ჩაი განსაკუთრებით მოსწონთ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ამიტომ არის, რომ მეცხრე ხუთწლედის განვლილ პერიოდში ორპირიდან ამ ქვეყანაში 163 ტონა ჩაი გაიგზავნა. უნგრეთმა ამავე პერიოდში მიიღო 96 ტონა, ხოლო ჩუბამ — 35,5 ტონა შავი ბაიხაოს ჩაი.

წლეულს ორპირის ჩაის ფაბრიკის მიერ გამოშვებული პროდუქციის მომხმარებელი გახდა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკა. იქ უკვე გაიგზავნა 60 ტონაზე მეტი ჩაი.

მაღაროელთა მომსახურებისათვის

ჭიათურა. ამ დღეებში ყაზბეგის ქუჩაზე საექსპლოატაციოდ გადაეცა დიეტური სასადილო, რომელიც აღჭურვილია ელექტროობური და მექანიკური დანადგარებით. სასადილოს ამშვენებს თანამედროვე სანიტარიული მალხარისხოვანი აგეგმა, კედლები მოპირკეთებულია თეთრი და რუხი მარმარილოთი.

სამშენებლო სამუშაოები შეასრულეს ტრესტ „ჭიათურმარგანეცის“ სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს და „კალექტრომონტაჟის“ ჭიათურის უბნის კოლექტივებმა.

ხ. კუპატაძე

ტანმოვარჯიშეები ბამ-ის სტუმრები

ულან-უდე. ბაიკალ-ამურის მაგისტრალის მოწინავე მშენებლები ხიდების ლითონკონსტრუქციების ქარხნის მუშები, რომლებიც ბამ-ის შეკვეთებს ასრულებენ, შეხვდნენ ტანვარჯიშის ოსტატებს, საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრებს, რომლებიც ტურნეს ატარებდნენ ციმბირში. ბურიატეთის ათასობით მცხოვრებმა ნახა სახელოვან ოსტატთა საჩვენებელი გამოსვლები.

ხურათზე: ხტუმრად ხიდის კონსტრუქციებთან. თავიხუფალ ვარჯიშებს ასრულებენ ე. საადი, ნ. დრონოვა, რ. ბიჩუკინა, ლ. გორბი კი და ხ. კუდინოვა.

ფ. მატვეევსკის ფოტო (საკინფორმი).

სამართალი გზას ეძებს

დავუბრუნოთ ნანას ადამიანებისადმი რწმენა

წავლებულს, თბილისის 156-ე საშუალო სკოლას, სადაც ნანა სწავლობდა! მაგრამ აქ გასაოცარი გულგრილობა გამოიჩინეს თავისი აღსაზრდელისადმი. სკოლის პედაგოგიურ კოლექტივს არც კი უცდია, რომ ბავშვი სწავლას დაბრუნებოდა. ისარგებლეს ამ გარემოებით, რომ დედა-შვილი საცხოვრებლად სხვა უბანში, სხვა რაიონში გადავიდა და გოგონაც თავიდან მოშორებულად ჩითვალეს, არაფერი იზრუნეს მასზე, თუმცა კარგად იცოდნენ, ნანა სკოლის გარეთ რომ დარჩა და ისიც გაიგეს, რა ბედი ეწია.

წავიდა, გადავიდა ჩვენი მიკრორაიონიდანო, აღნიშნეს მის პირად საქმეში და მორჩა! რაკი მიზეზი იპოვეს, ზედმეტი ტვირთით აღარ შეწუხეს თავი. კლასის ხელმძღვანელმა ლილი ცაავამ თავის მართლება დაიწყო: ვერ მივაგენი, საცხოვრებელი სახლის მესაკუთრეს ვერ დავაზუსტეო, ხოლო სკოლის დირექტორი გიგი მეფისაშვილი მაშინლა დაფიცურდა, როცა გაიგო, რედაქცია იყო დაინტერესებული გოგონას ბედით, და იმავე დღეს, რედაქციის მუშაკები სკოლაში რომ იყვნენ, შინ მიაკითხა ნანას და სასწავლებელში მოწყობაზე დახმარებას დაპირდა.

და განა ძნელი იყო ამ წელიწადნახევრის წინათ მოქცეულიყვნენ ასევე დირექტორი და ამ სკოლის პედაგოგიური კოლექტივის სხვა წევრები და საჭირო გულისხმიერება და მზრუნველობა გამოეჩინათ თავისი მოსწავლისადმი?! მაშინ არ მოხდებოდა ის, რაც ამის შემდეგ უნდა გიამბოთ, და პატარა ნანას ბედიც სხვანაირად წარიმართებოდა.

ეფოთაც მოგახსენებდით, ტოლ-ამხანაგებს გამოითიშულმა, ყველასაგან მიტოვებულმა და დავიწყებულმა გოგონამ ყველაფერზე გული აიცრუა, ნაღვლიანი, ბუზღუნა და უხასიათო გახდა, რაც დედასთან ურთიერთობაშიც ამჟღავნებდა... მშობელთან ერთი ასეთი წარამარა,ეებისა და გაბუტვის შემდეგ იგი სახლიდან წავიდა და ღამით არ დაბრუნებულა. დედას ეგონა ბებიასთან ან დეიდასთან თუ გაათენაო ღამე, როგორც ადრეც მომხდარა, მაგრამ მეორე დღეს რომ მოიკითხა და არც ბებიასთან, არც დეიდასთან არ აღმოჩნდა, შეშფოთდა ქალი. სხვა ნათესავებსა და მახლობლებშიც ბევრი ეძება, მაგრამ ვერ იპოვნა. მაშინ დახმარებისათვის მიმართა თბილისის ოქტომბრის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილებას. ორი კვირის შემდეგ გოგონა იპოვნეს. იგი თვითონ მოგიდა თავის ნათესავთან, საიდანაც ოქტომბრის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილებაში წაიყვანეს.

როგორც მილიციასა და პროკურატურის მიერ ამ შემთხვევასთან დაკავშირებით შექმნილი დოკუმენტებიდანაც კარგად ჩანს, ნანა კ-ძემ პირველივე გამოკითხვის დროს განაცხადა, რომ იგი გაუპატიურეს. მოქალაქეთა და დაშინებით მასთან სქესობრივი კავშირი დაიჭირა შვიდმა პირმა. ამ ორი კვირის განმავლობაში იგი ხელიდან ხელში გადადიოდა. ერთი მეორეს სთავაზობდა, მეორე მესამეს... ზოგჯერ კი რამდენიმე ერთდროულად რჩებოდა ბოგონასთან.

ასეთ ამბავს რომ გაიგებ, მილიციის მუშაკი კი არა, ვინც უნდა იყო, გულგრილად ვერ დარჩები. განყოფილებაში ოპერატიული ზომები მიიღეს დანაშაულში ეჭვმიტანილთა მოსაძებნად. გოგონამ ზოგიერთის სახელი იცოდა და ზოგი სახლის ადგილმდებარეობა და მისამართიც ახსოვდა, სადაც ის მიიყვანეს.

ამ ცნობების მიხედვით მალე შესაძლებელი შეიქნა თითქმის ყველა ეჭვმიტანილის ვინაობის დადგენა. ისინი აღმოჩნდნენ: სარქის რუბენის ძე პოჩოიანი — ავტოკოლონა № 2651-ის მძღოლი, ლევან გურგენის ძე პოჩოიანი — გარდაბნის რაიკავშირის სამრეწველო საწარმოს მუშა, ვილი სარჭისის-ძე ნალბანდიანი—თბილისის № 3. სამგზ